სახალხო გაზეთი

№ 1041 სამშაბათი, 12 ნოემბერი 1913 წ. № 1041

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 8. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი №12-29

გაზეთის ფასი წლიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა

სახალხო გაზეთი

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.

თვეში ღირს 75 კაპ.

არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.

მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети“ Почт. ящ. 190.

ქართული თეატრი

დღეს, სამშაბათს, 12 ნოემბერს

დავ. კლდიაშვილი

გამართავს სალიტერატურო-სამუსიკო

საღამოს

I

ა. ჯანელიძე წაიკითხავს ლექციას „ეროვნული შემოქმედება“

II

დ. კლდიაშვილი (მოთხრობა)
ჯ. ჯორჯიკია (მინიატურები).
ი. გრიშაშვილი (ლექსები).
დ. აკოფაშვილი (სიმღერა).

III

ქართ. დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: დავ. კლდიაშვილისავე

დარისპანის გასაჭირი

სურათი 1 მოქმედებად.

მონაწილეობენ: ბ-ნნი ვალ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ქ-ნნი: ლ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი, ა. შოთაძე და ა. ასათიანი. **დასაწყისი საღამოს 8½ საათზე.** ადგილების ფასი ჩვეულებრივი. ბილეთები ამთავითვე იყიდება თეატრის კასაში. 1521

ქუთაისის ქალაქის თეატრი

ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

სალიტერატურო საღამო

ფრიად საინტერესო პროგრამით.

საღამოში მონაწილეობას მიიღებენ: **პოეტები და ლიტერატორები.**

1590 დასაწყისი საღამოს 8 ს. საღამოს გამგე **ა. ჭუმბაძე.**

პირველ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი

ძმ. ესიკოვსკებისა

მიხეილის პროსპ., მუშტაიდ, შესავალთან, ნ. კუნდუროვის ადგილზე

დღეს, 12 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება

დიდი საგასტროლო წარმოდგენა.

მე-23 დღე გამოჩენილ ფალავანთა ფრანგულ **ჭიდაობისა.** **დებიუტი გამოჩენილი ლების პეტერსონისა და ჟონგლიორ სემიონისა.** დღეს ჭიდაობენ: ჟან საბალიე და სეპნიკი; გადამწყვეტი უვადო ჭიდაობა მასხულაძე და კოპიევი; ციპსი და ფან ხანატო (უწინდელი მასკა).

798 დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.**

„ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამა წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

რ. ა. პორტუგალოვისა

იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ხიდთან № 23—24,

მიღებულია ახალი საქონელი.

სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასების 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.

მიღებულია დიდი წყება დამზადებული ტანისამოსისა.

მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები“ და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.

1491 პატივისცემით **ძ-ნი პორტუგალოვისა.**

კვირას, 17 ნოემბერს, დილის 10 ს., თელავში წერა-კითხვის სკოლაში დანიშნულია

ქ. შ. წ.-კ. გამ. ს. თელავის განყოფილების

წევრთა წლიური კრება

განსახილველი საგნები: 1) 1912 წლის ანგარიში, 2) 1913 წლის ხარჯთაღრიცხვა, 3) ილია ჭავჭავაძის მამულის შესახებ ს. ყვარელში, 4) რაფიელ ერისთავის ათი წლის გარდაცვალების დღის აღნიშვნა, 5 გამგეობის ერთი წევრის არჩევა. 1584

ელექტრონის, რენტგენის სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

მიხეილ გედევანიშვილისა

ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. გაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

ა. ნ. დიასამიძე. ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

ბ. ა. პოპოვა. ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½ ს.

ექ. ქალი ითხელიანისა—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—11½ ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. კლდიაშვილი. ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606“-ით 1462

ქ. გორში

ექიმი (დოქტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

დოქტორი

ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—7½ ს. კვირაობით 11—12 საათამდე ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12-25. 751

ექიმი გ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—11½ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.

საბურთალოზე

მშვენიერ ალაგას

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდომ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

ხელოვნების წამხალისებელი

კავკასიის საზოგადოება

კვირას, 17 ნოემბერს, დილის 11 საათზე ჰმართავს

აუქციონს

საზოგადოების წევრთა ხელოვნურ ნაწარმოებისას საზოგადოების ბინაზე (გრიბოედოვის ქუჩა, № 24, არშაკუნისეული სახლი).

დარბაზის დათვალიერება 14 ნოემბრიდან დილის 10—5 საათამდე მსურველთ უფასოდ შეუძლიანთ. 1588

ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა **გ. მეჯრაბიანცი**

დაბრუნდა უცხოეთიდან და განაახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანხმებული სპეციფიური **ტუბერკულინური** წამლობა. ხელოვნური **პნევმოტორაქსი. რენტგენის ელვარებური სხივებით ფილტვებისა და გულის გალანდვა.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **საწყლებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

ტფილისის კერძო სამკურნალო

ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.

ტელეფონი № 590.

სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

შინაგანი სნეულებანი.	**მანსვეტაშვილი ვ. ვ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს. **მალალაშვილი ზ. ზ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12. **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. ს. **ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1. **ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს.
ქირურგ. სნეულებანი.	**მარკოვიჩი ვ. ლ.** კონსულტანტი ყოველ დღე 11½—12½. **მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1. **ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1.
ქალთა და სამშობ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12. **თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2. **მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1.
ბავშვთა სნეულ.	**ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1½ **მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე 12½—1. **ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1.
ნერვიულ სნეულებ. და ელექ.	**ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1. **ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—2.
ყელ. ყურის და ცხვირ.	**ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე 12½—1½. **ორეშკოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე 1½—2.
თვალის სნეულ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—2½.
კან. და ვენერ. ავ.	**დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე 11½—12½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Wassermann.** რეაქციისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსილიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, **„606“ და „914“ წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1466

სამკურნალო

სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად

ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

ახვლედიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—11½ ს.

ბოგოვსკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

ვორობიოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

შამაში, საღოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.

გრიგორიანი. ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.

ასტახოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

რუდენკო. შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ატენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

ი. ბ. ჩუდნოვსკი. ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, 11½—12½ საათ.

თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

მხიტარიანი. ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.

კალამკაროვა. ბებია, ქალური სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

ექ. ქალ. ითხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

გენიაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

სათვალეების არჩევა.

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an“-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი მღვდელი ს. ა. ლეჟავა

მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევის 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—17. 779

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

გადავიდა მოსკოვის ქუჩა № 9.

იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5½ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

ტფილისი, 12 ნოემბერი

უმამულობა საქართველოში.

ამ სათაურით ჟურნალ „კლდე“-ში დაიბეჭდა წერილი ბ-ნ ან—ფარისა, იმავ ან—ფარისა, რომლის კალამსაც ეკუთვნის „ზაკ. რეჩ.“-ში დაბეჭდილი ცნობილი წერილები ხიზანთა საკითხის შესახებ. ბ-ნი ან—ფარი უმამულობის საკითხს ეხება და გზა და გზა ეკამათება ჩვენს გაზეთსაც, თუმცა ამას ცხადად არ ამბობს. ბ-ნი ან—ფარი გვიმტკიცებს, საქართველოში მიწა არის, მაგრამ ჩვენ იმას არავინ გვაძლევსო. ამის დასამტკიცებლად მოჰყავს შემდეგი ცნობები: „წარსულ საუკუნეში მარტო აღმოსავლეთ საქართველოში მთავრობამ გაუბოძა უცხოეთიდან მოსულთ 200 ათას დესეტინაზე მეტი სახელმწიფო მიწა, ხოლო მცირე მამულიანს და უმამულო მკვიდრს, აი თუნდ ხიზანს ერთი ჩიჩქნა მაინც არ მისცა. ნემცებს ერგოთ ამ ორასი ათასი დესეტინიდან 14,880 დესეტინა, მცირე აზიიდან გადმოსახლებულთ ბერძნებს და სომხებს—123,017 დესეტინა, რუსეთის სექტანტებს 65.763 დ. ს. საშუალოდ თითო დესეტინა ათ თუმნად რომ დავაფასოთ, დავინახავთ, რომ მარტო ეს ორასი ათასი დესეტინა ღირს სწორედ 20 მილიონი მანეთი“. ეს წინანდელი ამბავია. ამ მოკლე ხანში კი შირაქს დაჰპატრონებიან და იქაც უნდათ გადმოსახლებულ რუსებს დაურიგონ მიწები. აქედან ბ-ნ ან—ფარს ის დასკვნა გამოჰყავს, რომ ჩვენში მიწა არის. ჩვენ შეგვიძლიან ბ-ნ ანფარის ამ ჯელობა გავაგრძელოთ და მაშინ ასეთს სურათს მივიღებთ. სათავადაზნაურო ბანკს შეუძლიან იყიდოს კერძო მემამულეთა მიწები, აჰყაროს ისინი, ვინც დღეს იქ მოსახლეობენ და რუსები ჩაასახლოს. სხვადასხვა ზომების საშუალებით მთავრობას შეუძლიან ის სახელმწიფო მიწები, რომლებიც ეხლა ქართველ გლეხებს უჭირავთ, ჩამოართვას და რუსეთიდან გადმოსახლებულებს დაურიგოს. ყველა ეს ადვილად შესაძლებელია ასე მოჰხდეს. რუსეთში გამეფებული პოლიტიკური კურსი სწორედ იმას გვიმტკიცებს, რომ ეს მთავრობის ერთად-ერთს საზრუნავს შეადგენს. მაგრამ ეს განა იმას ამტკიცებს, რომ ჩვენში თავისუფალი მიწა არის? ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ მიწა, რომელიც ღვთისა და ადამიანის კანონების მიხედვით ქართველებისა უნდა ყოფილიყო, მას გამოსწირეს და სხვას მისცეს. ავიღოთ, თუნდაც იგივე შირაქი. ბ-ნი ან—ფარი ბრძანებს, შირაქზე რუსის სოფლის გაშენებას აპირებენო. რას ამტკიცებს ეს გარემოება? განა იმას, რომ შირაქი თავისუფალია? სრულიადაც არა. თვით ბ-ნი ან-ფარი ჰბრძანებს, შირაქი მთიელების ერთად-ერთი საარსებო წყაროაო. თუ შირაქი ასე საჭიროა მთიელებისთვის, მაშასადამე, იგი თავისუფალიც არ არის. ჩვენც ასე გვგონია. ჩვენცა ვფიქრობთ, რომ შირაქი მთიელებს არავინ არ უნდა გამოსწიროს. ეს უსამართლობა იქნება. ბ-ნი ან-ფარის სიტყვით კი, რახან მთავრობას აზრადა აქვს შირაქში რუსების დასახლება, იგი ჩვენც თავისუფლად უნდა გამოვაცხადოთ. პირ-იქით, ჩვენ ყოველთვის ის უნდა ვამტკიცოთ, რომ საქართველოში თავისუფალი მიწა არ არის და ამიტომ არავის გადმოსახლება ჩვენს ქვეყანაში არ შეიძლება. თუ ჩვენ თითონ ვაღიარეთ, რომ ჩვენში ბევრი თავისუფალი მიწაა, რაღა უფლებით შეგვიძლიან მოვითხოვოთ გადმოსახლების პოლიტიკის შეჩერება?

ესეც რომ არ იყოს, ჩვენში, მართლაც, სრულიადაც არ არის თავისუფალი მიწა. არც შავი ზღვის სანაპიროები, არც შირაქი და არც სხვა ამგვარი ადგილები არ შეიძლება თავისუფლად ჩაითვალოს, რადგანაც ეს ადგილები ისევე საჭიროა ადგილობრივ მკვიდრთათვის, როგორც წყალი თევზისთვის. ჩვენც ყოველი ღონის-ძიება უნდა ვიხმაროთ, რომ ეს ადგილები ადგილობრივ მკიდრთ დარჩეს. შეიძლება მთავრობამ ასე არ შეხედოს საქმეს და ამ ადგილებში კვლავ განაგრძოს გადმოსახლება, მაგრამ ამითი სრულიადაც ის არ დამტკიცდება, რომ გადმოსახლებულებს თავისუფალი მიწები მისცა. ეს სულ სხვანაირ ფორმაციის მოღვაწეობა იქნება და საზოგადოებრივმა აზრმაც შესაფერი სახელი უნდა უწოდოს.

ქართული პრესა

„ფიქრი“-ს პირველ ნომერში დაბეჭდილია ბიბლიოგრაფიული შენიშვნა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა ახალ გამოცემის შესახებ. ამ შენიშვნის ავტორი, სხვათა შორის, ბ-ნ ივ. გომართელსაც უსაყვედურებს და სწერს, რატომ თქვენ მაინც არ მიაქციეთ ყურადღება იმ გარემოებას, რომ ბიოგრაფიაში ურთიერთობა ილიისა და დასულებს შორის სწორედ არ არის გაშუქებულიო.

„მაგრამ მესამე დასიცა და მისი იდეალებიც,—სწერს ავტორი,—ბ. გომართელმა დიდი ხანია მიიტანა გასასყიდად უმსხვერპლოდ ჩვენი მოწინააღმდეგეთა სამსხვერპლოზე, ის დიდი ხანია გამოვიდა ხანუმას როლში და მამულიშვილთა და ქართველი დემოკრატიის ლიტერატურულ მაჭანკლობას ეწევა. ამის საპასუხოდ ბ-ნი ივ. გომართელი სწერს:

„ფედერალისტებს ჩემთვისაც ხომ ადგილი არ შემოუძლევიათ და არც მე მითხოვია! მაშასადამე თუ ავტორი მართალია, მე გულწრფელადა და უანგაროდ მოვქცეულვარ, რაც შესაძლებელია სასიამოვნო არ იყოს ვისთვისმე, მაგრამ ქების ღირსი კი არის და არა გაკიცხვისა.

საქმე იმაშია, რომ ავტორი ბევრ თვისი ამხანაგებივით ცილისწამების ქინით არის შეპყრობილი.

სიმართლეს მე ყველას მოვუწონებ, სიყალბეზე კი კვერს არავის არ დავუკრავ.

მესამე დასის სიყალბეს ეროვნული საკითხის აბუჩად აგდება შეადგენს, მე ეს ბევრჯელ მითქვამს და ვიტყვი. ეროვნული საკითხის უარყოფაა უმთავრესი მიზეზი დასის დამარცხებისა ქუთაისის გუბერნიაში.

ტფილისის გამარჯვება ჩემთვის დამარცხებაზე უარესია. შემდეგში კიდევ მეტი დამარცხებაა აუცილებელი, თუ დასმა ეროვნული საკითხი ჯეროვანის ყურადღებით არ გადასჭრა.

რამდენიც უნდა მიკიჟინონ და ცილი დამწამონ „ფიქრის" წერილის ავტორისთანა სექტანტებმა, მე მაინ ხმამაღლა მოვუწოდებ: ეროვნული საკითხი გაარკვიეთ, და მომავალი დამტკიცებს, ვისკენ არის სიმართლე."

ახალი ამბავი

ტფილისი

◆ **პოლიტეხნიკუმი.** 13 ნოემბერს საუწყებათაშორისო კომისიის კრება მოხდება პოლიტეხნიკუმისთვის აღთქმულ მიწების ღირსება-ნაკლის გამოსარკვევად.

◆ **წმ. გიორგობა.** კვირას, 10 ნოემბერს, ქართველ მეფეთა კარისად ნამყოფმა წმ. გიორგის ეკლესიამ (ეგზარხოსის ქუჩაზე) თვისი დღესასწაული იუქმა. დღესასწაულის წინა დღეს, აგრეთვე მეორე დღეს ეკლესიას დიდძალი ხალხი მიაწყდა, წირვის დროს „განიცადეზე" ადგილობრივმა მღვდელმა ქრ. თხინვალელმა შინაარსიანი და დღესასწაულის შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა. წირვაზე გალობდა ივერიის მგალობელთა გუნდი ვ. მათურელის ლოტბარობით.

◆ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრებაზე** გუშინდლამდე 149 წარმომადგენელი ჩაეწერა.

◆ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ვიწრო ქუჩებზე მაღალ სახლების აშენება აღკრძალოს. ეს დადგენილება განსახილველად წარედგინება ქალაქის საბჭოს უახლოეს კრებას.

◆ **ქალაქის ქუჩების მოკირწყვლა.** 1914 წლის ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს საბიუჯეტო-საფინანსო და სარევიზიო კომისიის შეერთებულ კრებაზე ხმოსანმა ს. თ. ქრელაშვილმა აღძრა საკითხი: აღებულ იქნეს ერთ მილიონიანი სესხი და ამით მოიკირწყლოს ქალაქის ყველა უმთავრესი ქუჩა. ამ ჟამად ქალაქს ქუჩების შესაკეთებლად ყოველ-წლივ 70,000 მან. ეხარჯება. სესხის აღების შემდეგ კი ხმოსნის აზრით სურათი შესამჩნევად შეიცვლება: ქალაქს დასჭირდება ყოველ წლივ მხოლოდ 60,000 მან. სარგებლის მიცემა მილიონიან სესხში იმ 70,0000 მან. ნაცვლად, რომელიც ახლა იხარჯება და ამასთანავე რიგიანი ქუჩები ექნება. კრებამ ბ-ნ ქრელაშვილის წინადადება მოიწონა და დაადგინა: სთხოვოს ქალაქის გამგეობას, რათა აღარ მოუცადოს დიდის საქალაქო სესხის აღებას და ერთის მილიონიან სესხის აღების შესახებ მოხსენება ახლავე შეადგინოს.

◆ **ავლაბრის კლუბის** საზამთრო სეზონი კვირას, 10 ნოემბერს, დაიწყო.

◆ **კავკასიის მუზეუმის** შენობის ამშენებელ კომისიის კრება დღეისთვის არის დანიშნული.

◆ **კ. ი. ზაშკოვსკი,** მიწათ-მოქმედებისა და მიწათ-მოწყობის სამინისტროს კავკასიის რწმუნებული, 10 ნოემბერს სამსახურის საქმეთა გამო პეტერბურგს გაემგზავრა.

◆ **ექსკურსია.** 9 ნოემბერს მანთაშევის სავაჭრო სკოლის მოსწავლეებმა ავჭალა მოიარეს, სადაც დაათვალიერეს შუშის ქარხანა.

◆ **საგიგიენო გამოფენა.** კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრების მომწვევმა კომიტეტმა ნება დართო საფაბრიკო საქონლით მოვაჭრე კავკასიის საზოგადოებას, მოაწყოს კრების დროს სახალხო სახლში საგიგიენო საგნების გამოფენა.

◆ **რუსულმა კლუბმა** საკუთარი შენობა ააგო მიხეილის ქუჩაზე. შენობა 10 ნოემბერს აკურთხეს.

◆ ბელინსკი ქუჩისა და „კირპიჩნი" შესახვევში მდებარეობს მღვდლის ელიზბარიშვილის სახლი, რომლის დანგრევაც ქალაქის გამგეობამ საჭიროდ აღიარა ქუჩის გასაფართოებლად. გამგეობა მღვდელს ელიზბარიშვილს ფასზე ვერ მოურიგდა, ამიტომ დაადგინა: წინადადება მისცეს ქალაქის საბჭოს, მღვდელს ელიზბარიშვილს სახლი იძულებით ჩამოართვას.

სასწავლებლებში

◆ ვაგზლის გაღმა მხრის საქალაქო სკოლაში **ხელსაქმის მასწავლებლად** ქალაქის სასკოლო კომისიამ ქ-ნი ღულაძე დანიშნა.

◆ **ტფ. სამხედრო კორპუსმა** 10 ნოემბერს თვისი დღესასწაული იუქმა. ამ დღეს კორპუსში ბალი გაიმართა, რომელსაც მიწვეული ხალხი დაესწრო.

თელავი.

◆ 3 ნოემბერს თელავში გაიმართა **კახეთის წვრილ კრედიტის წარმომადგენელთა თათბირი.** დაესწრო 27 კაცი. თათბირს დაესწრო აგრეთვე წვრილ კრედიტის ინსპექტორი ვ. ლ. ვიფორსი. კრებამ სამოქმედო ფარგლად დაისახა თელავისა, სიღნაღისა და თიანეთის მაზრები.

◆ 17 ნოემბერს დანიშნულია წ. კ. გ. საზოგადოების თელავის განყოფილების წევრთა წლიური კრება. კრება განიხილავს წარსული წლის ანგარიშს და მომავალ სამოქმედო გეგმას და სხვა.

შეცდომების გასწორება.

ბ-ნ აბესაძის წერილში „იმერეთის სამეფოს უკანასკნელი დღენი"-ში შემდეგი შეცდომებია.

დაბეჭდილია: გენერალი ველიამინოვი იყო კორპუსნი შტაბის უფროსი. უნდა იყოს: გენერალ ლეიტენანტი ივანე ალექსანდრეს-ძე ველიამინოვი იყო მთავარ-მართებელ ერმოლოვის თანაშემწე და განაგებდა სამოქალაქო საქმეებს, ხოლო ძმა მისი, გენერალ-მაიორი ალექსი ალექსანდრეს-ძე იყო კორპუსნი შტაბის უფროსი.

დაბეჭდილია: თავ. ივანე აბაშიძე გაიქცა გურიას თავის ბიძა ქაიხოსრო გურიელთან უნდა იყოს: თავ. ივანე აბაშიძე გაიქცა გურიას ქაიხოსრო გურიელთან, რომელიც იყო ბიძა მამია გურიელისა, მაშინდელი გურიის მთავრისა.

ჩაუბარებელი დეპეშები. 1) ვართაშენიდან—ა. ჭავჭავაძეს, ქუთაისიდან—ტოპჩიაშვილს, ჩოხატაურიდან—ტიტიაშვილს, ტფ.—ქორიძეს, და მგალობლიშვილს.

ანტონ ფურცელაძის გარდაცვალების გამო

რედაქციამ მიიღო შემდეგი დეპეშები:

გორიდან. „გორის ქალაქის გამგეობა ღრმა მწუხარებას გამოსთქვამს დიდი საზოგადო მოღვაწის ანტონ ფურცელაძის გარდაცვალების გამო. გორის ქალაქის მოურავი ქიტიაშვილი".

ყვირილიდან: „ღრმა მწუხარებას განვიცდით გამოჩენილ საზოგადო მოღვაწის მატონ ფურცელაძის გარდაცვალების გამო. ვლადიმერ ჩხეიძე, მღვდელი ანთაძე, სიმონ ორჯონიკიძე".

ქუთაისიდან: „გულითა ვსწუხვართ გამოჩენილ საზოგადო მოღვაწისა და მწერლის, დაუვიწყარი ანტონ ფურცელაძის დაკარგვას, რომელმაც მთელი თავისი ძალ-ღონე შეალია გულწრფელ მეგობრებით და გულშემატკივრებით ღარიბ სამშობლოის კულტურის აღორძინებას. გადაეცით ჩვენი გულწრფელი სამძიმარი განსვენებულის ოჯახს. ნატალია და გრიგოლი გველესიანები".

ქუთაისიდან: „დიდია მწუხარება ჩვენი ქვეყნისა, რომელიც გამოიწვია გამოჩენილ საზოგადო მოღვაწის და დაუღალავი მუშაკის გარდაცვალებამ; განსვენებული ან. ფურცელაძე იმ მცირე რიცხვს ეკუთვნოდა, რომელთაც გააშუქეს ისტორიული პიროვნება გიორგი სააკაძისა. ქუთაისის საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოება".

აგრეთვე მიიღო კიდევ დეპეშები:

1). ქუთაისიდან—ფაღავასაგან.
2) ქუთაისი—ზაქარია მაჭავარიანისაგან.
3) ქუთაისი — გრიგოლ ბარათაშვილისაგან.
4) დიდი ჯიხაიში—მუშებისა და ინტელიგენციისაგან.
5) ლანჩხუთი — „ლანჩხუთის ინტელიგენციამ დიდძალი საზოგადოებას და მოსწავლეების დასწრებით პანაშვიდი გადაიხადა ანტონ ფურცელაძის სულის მოსახსენებლად?.. მონდობილობით მღვდელი ჩხაიძე.
6. ხონი—სემინარიელებისაგან.
7) ბაქო—ბურჯანაძისა და კაკაბაძისაგან.

კიევის ინსტიტუტთან არსებულ ქართველ სტუდენტთა სამეცნიერო წრისაგან.

მოსკოვიდან კომერციულ ინსტიტუტის ქართველ სტუდენტთა სათვისტომოსაგან.

მარტყოფი. ვუერთდებით საზოგადო მოღვაწის და მწერლის ანტონ ფურცელაძის ჭირისუფლების მწუხარებას.

მარტყოფ. სამკითხველოს გამგეობა.

ჩატეხილი აზროვნება

ბ-ნ მ. წულუკიძეს და იმის მსგავს მწერლებს ალბათ არსებითად ვერ შეუძლიათ ჩვენი აზრის გაგება ილია ჭავჭავაძის შესახებ. მაგრამ ჯერ ცოტა რამ წინასიტყვაობაზე. ილია ჭავჭავაძე ჩვენ კერპად არ გაგვიხდია, რომ ყოველი კრიტიკული სიტყვა, წარმოთქმული მის შესახებ, ბოროტებად მოვნათლოთ. მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ **უსამართლოდ** მოვექცეთ მწერალს და ისეთი აზრები მივაწეროთ, რის წინააღმდეგაც თვით ავტორი ჰქადაგებს. ჩვენ ბ-ნ მ. წულუკიძეს მხოლოდ იმიტომ გამოვეკამათეთ, რომ იგი არსებითად არ არის მართალი და ცილს სწამებს ილიას, როდესაც ამბობს „ოთარაან ქვრივში" მან დემოკრატიზმს უღალატაო. როგორც პირველ წერილშიაც ვამბობდი, „ოთარაანთ ქვრივი" მშვენიერი მხატვრული ილიუსტრაციაა იმ უფსკრულისა, რომელიც გათხრილია წოდებათა შორის. ილიას, მართალია, საჭიროდ მიაჩნია ჩატეხილ ხიდის გამთელება, მაგრამ ეს სრულიადაც არა ნიშნავს იმასა, რასაც ბ-ნი მ. წულუკიძე ბრძანებს. იგი ამბობს: „გამთელება არ ნიშნავს ახალის შექმნას, ის ძველის აღდგენაა, დადასტურებაა". თუ ცარიელ, გამოფიტულ სიტყვას მივიღებთ მხედველობაში და დავივიწყებთ მთელი მოთხრობის შინაარს, მაშინ ბევრი რამ შეიძლება დაგვრჩეს გაუგებარი; მაგრამ „ოთარაანთ ქვრივი"-ს შინაარსის ანალიზი მხოლოდ იმას აღმოაჩენს, რომ ილიას საჭიროდ მიაჩნია არა მექანიკური ხიდის გამთელება, არა ძველის აღდგენა, არამედ **ორგანიული** ცვლილება სოციალურ ურთიერთობისა, რაც თავის მხრით გამოიწვევს ფსიხიურ განახლებასაც. ძველის აღდგენა რომ სდომოდა ილიას, მაშინ არ იტყოდა, თავად-აზნაურთა წოდებაში დახშულია სასიცოცხლო ძალა, მხოლოდ ხალხშია დამარხული „ძალა შექმნისაო". ილია მთელ თავის იმედებს მხოლოდ ხალხის სასიცოცხლო ძალაზე ამყარებს და დემოკრატიზმიც ეს არის და ჭეშმარიტი დემოკრატიზმიც. აბა მოიგონეთ, რანაირ უსიცოცხლო არსებად გეჩვენებათ არჩილი და კესო, სოფლად წასული ინტელიგენტები, რომელთაც ჰსურთ ხალხს ემსახურონ. არჩილი და კესო ყოვლად პატიოსანი აზრებით არიან გამსჭვალულნი, საუკეთესო წარმომადგენელნი არიან თავად-აზნაურულ ინტელიგენციისა, მაგრამ ეგ საუკეთესონიც კი ვერავითარ საერთო სიმებს ვერ ჰპოულობენ ხალხის გულში. თუ ასეთები არიან საუკეთესონი, რანაირი უნდა იყვნენ უარესნი! ცხოვრების ზედაპირზე მოქცეულია არა ილია ჭავჭავაძე, არამედ არჩილი და კესო, რომელნიც სოფელში წავიდნენ ხალხის გასანათლებლად, მაგრამ დამარცხდნენ, დამარცხდნენ იმიტომ, რომ ხალხსა და მათ შორის ხიდია ჩატეხილი. არჩილი და კესო ხალხის ცხოვრების შუაგულს არიან მოსხლეტილნი და ზედა-პირზე დასცურავენ. ილია ჭავჭავაძე ჰგრძნობს ამას და ეუბნება მათ, უფრო ღრმად უნდა ჩაიხედოთ ცხოვრებაში, ერთმანეთის გაუგებრობის მიზეზი ზედაპირზე კი არ უნდა ეძებოთ, არამედ ხალხის გულის სიღრმეშიო. ეს არის მთავარი აზრი „ოთარიანთ ქვრივისა". ბ-ნი მ. წულუკიძე კი გვეუბნება, ილია ჭავჭავაძე დასცურავს ზედა-პირზე და ცხოვრებაში არსებულ უთანხმოებას ვერა ჰხედავსო.

ეს ცხადი გაუგებრობაა ილია ჭავჭავაძისა, ცხადი ცილისწამებაა იმისა, ვინც მართლა რომ ღრმად ჩაიხედა ცხოვრებაში და თავისი გასაოცარი ნიჭით დაგვიხატა ის, რის დანახვაც მის თანამედროვეთ ვერ მოეხერხებინათ.

ბ-ნ მ. წულუკიძე რომ ჩატეხილი აზროვნებისა არა ყოფილიყო, ილია ჭავჭავაძის ნაწარმოებაში იმას არ დაინახავდა, რაც არ არის და იმას კი, რასაც ყველა ჰხედავს, ისიც დაინახავდა.

არ. ჯ—შვილი.

წერილები პეტერბურგიდან

(ბეილისის საქმის მოლოდინში).

დასრულდა კიევის ტრაგედია და მთელმა შეძრწუნებულმა რუსეთმა, თითქმის მთელმა ქვეყანამ, თავისუფლად ამოისუნთქა. ძველად, როცა სახელმწიფოებში უფლებრივი შეგნება სუსტი იყო, ებრაელები ყოველგვარ ტანჯვას განიცდიდნენ და ამასთანავე ქონებრივი ექსპროპრიაციისათვისაც საუკეთესო საშუალებად ითვლებოდნენ. დასწამებდნენ რამე საზარელ ავაზაკობას და შემდეგ გაჩაღდებოდა ცემა, კვლა, რბევა; მაგრამ ეს იყო წინად, საშუალო საუკუნოებში. შემდეგ ეს მოვლენა თითქმის მიწყნარდა; მაგრამ ეხლა მეოცე საუკუნეში მან კვლავ იჩინა თავი. მართალია, დღეს ისე აშკარად არ შეიძლება ეს რბევა, მაგრამ ყველამ კარგად უწყის, რა დიდ წყაროს წარმოადგენს ებრაელის ჯიბე „ზოგიერთებისათვის".

გარემოებამ საბედისწეროდ მოიყარა თავი და კიევის დრამა შეიქმნა ახალ დამოკლეს ხმალად, რომელიც ყოველ წუთს მზად იყო ძირს დასაშვებად, რათა წამებულთა სისხლით დაენოყიერებია რუსეთის ქალაქების და სოფლების მიწები. რასაკვირველია, ასეთ შემთხვევაში ნაცადი ხერხი ისევ წამოყოფდა თავს და „ზვერი" მოასწრებდა სარგებლობას...

თქვენს კორესპონდენტს შემთხვევამ ხელი შეუწყო ძლიერ ახლო გასცნობოდა ერთი ინტელიგენტი ებრაელის ოჯახს, რომლის გვარი ცნობილია რუსეთში. მ. გ—ვი იყო გენერალური შტაბის ოფიცერი, რუსეთ-იაპონიის ომის დროს პოლკის უფროსი, ძლიერ განათლებული, ბევრი შრომის ავტორი, რომელშიც განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს შრომა „შტაბებში და შორეულ აღმოსავლეთის მინდვრებზე". აქვს ბევრი თარგმანი რუსეთ იაპონიის საკითხის შესახებ ინგლისურიდან, გერმანულიდან და ფრანგულიდან. ომის გათავების შემდეგ სამსახურს თავი დაანება და უმეტეს ნაწილად იტალიაში ცხოვრობს. რუსეთში მხოლოდ დროებით ჩამოდის.

იმის ძმის ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ნაცნობები, ნათესავები მაგრამ სამხიარულოდ მოსულთ, მათს სახეს მუდამ უზომო შიში, სასოწარკვეთილებას გამოხატულება ეტყობოდა. ეშინოდათ ხმა მაღლა ლაპარაკის, სიცილის და დროს გასატარებლად მოსულნი ავათმყოფის მნახველებს უფრო ჰგავდნენ. ყოველი მათგანი დარწმუნებული იყო, რომ ბეილისს გაამტყუნებდნენ და მაშინ ეს ხომ ებრაელების დარბევის ნიშანი იქნებოდა. თუ კი რომელიმეს წამოსცდებოდა, რომ შეიძლება ბეილისი გაამართლონო, მაშინაც სასიხარულოს ვერაფერს ხედავდენ, რადგან მაშინ ნიადაგს პოულობდა ის საზიზღარი ხმები, ვითომ ებრაელებმა ყველა მოქრთამეს და ამიტომაც მაინც საჭიროა ებრაელების დარბევაო. ე. ი. მდგომარეობა ისეთი იყო, როგორც იმ მეფის შვილი, რომელიც ერთ უცხო სახლის კარებს მიადგა, რომელზედაც ეწერა: „შეხვალ ინანებ, არ შეხვალ მაინც ინანებო". ბავშვებიც კი ლანდებივით დადიოდნენ, ეშინოდათ თავის აღება და მთელ უზარმაზარ ბინაზე სამარისებული სიჩუმე იყო გამეფებული. მკითხველს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს, როგორი იყო იმათი მდგომარეობა, ვინც პროვინციებში სცხოვრებენ. არც ერთი მათგანი არ იყო დარწმუნებული საღამობით, რომ დილა ჩვეულებრივ გაუთენდებოდათ. ოც-და-ხუთმეტი დღის განმავლობაში ჰაერი თითქოს შეხუთული იყო: დროებით დღევანდელი ხანი გაქრა, თითქოს საშუალო საუკუნოებში დავრუნდით. ასეთ მდგომარეობამ კიდევ უფრო იმატა, როცა განაჩენის გამოცხადების ვადა მოახლოვდა. ენით გამოუთქმელია და კალმით აუწერელი ის აღელვება, მოუთმენლობა, რომელიც ქალაქში სუფევდა 28 ოქტომბერს. ექვსის ნახევარზე მოვიდა ამბავი, რომ ბეილისი გაამართლესო. აუწერელი ამბავი დატრიალდა ადგილობრივ გაზეთების რედაქციებში. ყველა ცდილობდა გაეგო ნამდვილი ამბავი და ტელეფონების ზარის წკრიალს საზღვარი არა ჰქონდა. ნევის პროსპექტზე ნამდვილი მანიფესტაცია გაიმართა. თეატრებში, კლუბებში, ყოველ საზოგადო დაწესებულებაში დიდის გაფაციცებით და აღელვებით ელოდნენ დეპეშებს და ბოლოს გამართლდა მათი მოლოდინიც. ბეილისი გაამართლეს, რიტუალი უარყვეს. მაგრამ ამით გათავდება ყველაფერი? ეს უკანასკნელი აკორდია ამ სამარცხვინო დრამისა თუ მოღრუბლული ცა გრიგალით გაიხმაურებს?

შ.—დიანი.

ქართული ეკლესიები და ქართული გალობა

საოცარია ჩვენი მდგომარეობა! შედიხართ ქართულ ოჯახებში—ქართული ენა არ გესმით, შედიხართ საზოგადო დაწესებულებებში—ქართული არ გესმით, სკოლებიდან ქართული განდევნილია, ქართველების კრებებზე შემსვლელი უცხოელი ვერასგზით ვერ წარმოიდგენს, რომ იქ ქართველები შეკრებილან—ყველანი რუსულად ლაპარაკობენ. ქართულ ფილარმონიულ საზოგადოების შენობაზე ვეებერთელა რუსული წარწერაა, ქართულ ეკლესიებიდანაც კი თანდათან განდევნეს ქართულ წირვა-ლოცვა და გალობა. ამის მიზეზად მუდამ პირობებს ვასახელებთ, სხვებზედ ვჩივით; ამ დროს კი უმთავრესი მიზეზი თვით ჩვენა ვართ. ორიოდე კაცი თუ გამოვა პროტესტით, ისიც მხოლოდ ლაპარაკობს, წუწუნებს და საქმეს კი არ აკეთებს.

აი, მაგალითად! მობრძანდით ძველ მამადავითის ეკლესიაში, რომელიც ეგრე მედიდურად, ქართველურად გადმოჰყურებს მთელ ტფილისს, საქართველოს უძველეს დედა ქალაქს; განა ოდესმე გაიგონებთ იქ ქართულ გალობას? ჩვენი მღვდლები მუდამ იმას გვიპასუხებენ: რა ვქნათ, ხალხი არ დაიარება, მგალობლები არა გვყავსო. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ეს მათთვის გასამართლებელი საბუთი არ არის. ისინიც დამნაშავენი არიან, რადგან „თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელებით იქმევაო", ნათქვამია.

ეხლახან დიდუბის ეკლესიის მოძღვარმა მ. მირიანიშვილმა ქართულ ფილარმონიულ საზოგადოებას მიმართა განცხადებით: ეკლესია საკმაო თანხას გაიღებს და დიდუბეში შესაფერი მგალობელთა გუნდი მოგვიწყვეთო. როგორც გავიგეთ, ფილარმონიული საზოგადოება დიდის სიხარულით შეეგებია მირიანაშვილის კეთილ განზრახვას. ფილარმონიულ საზოგადოების გუნდის ლოტბარს ზ. ჩხიკვაძეს განუზრახავს შეადგინოს ერთი დიდი გუნდი, იგი ყველას ერთად შეასწავლის ქართულ საეკლესიო გალობა. შემდეგ დაჰყოფს ნაწილ ნაწილად. ერთი ნაწილი ქაშვეთის ეკლესიაში იგალობებს, სხვა ნაწილები კი დიდუბისა და ანჩისხატის ეკლესიებში.

საჭიროა ამ საუცხოვო იდეიას ხელი შეუწყოს თვით ხალხმა. ეს ხელის შეწყობა იმაში გამოიხატება, რომ კარგი ხმების პატრონი ქალ-ვაჟნი არ დაიშურებენ ცოტა დროს ეროვნულ საქმისათვის და სიამოვნებით ჩაეწერებიან გუნდში. შემდეგ ყოველი მათგანი იმ ეკლესიაში იგალობებს, რომლის ახლოსაც სცხოვრობს და რომლის მრევლშიაც ჩაწერილია. მეორე მხრით საჭიროა ჩვენი სამღვდელოებაც შეეგებოს ამ კეთილ საქმეს. ჩვენი ეკლესიებისათვის საძნელო არ არის შესაფერი თანხის გადადება. კარგი გუნდის ყოლა ეკლესიიათვის სასახელოა. ამაში მაინც გამოიჩინოს ჩვენმა სამღვდელოებამ სიცოცხლის უნარი. მიბაძონ მ. მირიანაშვილის მაგალითს, და მაშინ არავინ ეტყვის მათ საყვედურს.

კორდელი.

ხმა ადესიდან

I.

ჭეშმარიტად, დიდი ვინმე ყოფილა ოდესისათვის ტოლმაჩოვი, დიდი ღალი დაუსვამს, წაუშლელი კვალი დაუმჩნევია. რამდენიმე წელიწადია ეს ქალაქი განთავისუფლდა მის მბრძანებლობისაგან, მაგრამ აქამდე გონს ვერ მოსულა, ვერ მოღონივრებულა. არ ვიცი, შემოდგომის ბრალია, თუ ჩემი უნებური მოგზაურობისა და მეჩვენება—აქ ყველაფერს რაღაც მოლოღუშული ელფერი გადაჰკრავს; კაცს ეგონება, ეს გარეგნად ლამაზი, კოხტა ქალაქი, თავისი სწორე ევროპიულად დაგეგმილ ქუჩებით, ეს სამხრეთის ქალაქი—რაღაცა მძიმე სევდას მოუცავს, დაუღონებიაო. არა, უეჭველია, შემოდგომის ბრალია, ზღვის ბურუსია ამის მიზეზი...

ამოდენა ქალაქში თავისუფლად ამოსასუნთქ ადგილს ვერ იპოვით. ყველგან, ყოველთვის, ყოველ ნაბიჯზე გრძნობთ რაღაც შეხუთულ, განსაკუთრებულ ატმოსფერას. ყველაფერს მემარჯვენეობის სუნი უდის. ისეთნი ძლიერნი არიან ეს უკანასკნელნი, რომ „რუსთა კავშირს" თავის ბავშვებისათვის ცალკე გიმნაზიაც კი აქვს.

უნივერსიტეტი? უნივერსიტეტი ხომ თითქოს პაროდიააო. იყო დრო, როდესაც ადესის უნივერსიტეტში რამდენიმე ათასი სტუდენტი ითვლებოდა. მაშინ მათი ცხოვრება დუღდა-გადმოდიოდა. ეხლა კი ყველა გაურბის ამ ლევაშოვის საბრძანებელს, თუმცა მის წასვლის შემდეგ სტუდენტების რიცხვმა იმატა. სულ რაღაც ორი ათასამდე სტუდენტი თუ იქნება. შედარებით ქართველები ბლომად არიან, თუმცა, პირობები რომ ხელს უწყობდნენ, უეჭველია მეტი იქნებოდნენ: ადესა ხომ ჩვენთვის უახლოესი ქალაქია უნივერსიტეტით? ქართველ სტუდენტობა იქნება ასე, ასოც კაცამდე.

თვით ქალაქში არა სტუდენტობაც ბევრია ქართველი: ექიმები, ვექილები, ფარმაცევტები, მუშები. ნავთსადგურში რომ გაიაროთ, „მაინა-ვირას" *) ძახილთან ერთად ძლიერ ხშირად ქართული ლაპარაკიც მოგესმით: ეს ხმაა სამუშაოს, ლუკმა-პურისათვის შორს გადმოხვეწილ ქართველი მუშისა. მათი რიცხვი ასამდე იქნება მარტო ნავთსადგურშია და გემზე მოსამსახურენი რო ჩავთვალოთ. შეიძლება მეტი იყოს, ნაკლები კი არა.

ქართველი სტუდენტობა რაღაცნაირად დაქსაქსულია. მიუხედავად ამისა, იგი მაინც დიდ როლს თამაშობს აქაურ ქართველთა საზოგადოებაში, მისი შემაკავშირებელია ამას წინად „სახ. გაზ." უკვე აღნიშნული იყო, რომ აქაურ უკრაინელთა კლუბში გაიმართა ქართული წარმოდგენა, რამაც დამსწრე საზოგადოება ფრიად ასიამოვნა. სტუდენტობას განზრახვა აქვს პერიოდულად ჰმართოს წარმოდგენები, და ამ ახლო ხანში მეორე ამისთანა წარმოდგენა გაიმართება. გარდა ამისა, ნიადაგი მზად არის და ჰფიქრობენ დაარსონ „ქართველთა საზოგადოება", რომლის მიზანი იქნება აქაურ ქართველობის შეკავშირება და საკულტურო გასართობების მოწყობა. ფრიად მოსაწონი აზრია; საჭიროა მისი აუცილებლად განხორციელება.

⁂

ზოგიერთ მკითხველს შეიძლება გაგონილი ჰქონდეს, რომ აქ მიმდინარე წლის მარტში პოლიციამ კრებაზე დააპატიმრა თუთხმეტი ქართველი სტუდენტი, მიუხედავად იმისა, რომ საეჭვო არაფერი აღმოუჩენიათ დაპატიმრებულთათვის, საადმინისტრაციო სასჯელი არ აკმარეს და სამართალში არიან მიცემულნი. კრება სულ ლოიალური იყო და უბრალო საგნებზე მსჯელობდა, მაგრამ ისეთი ძლიერი სურვილი ჰქონიათ სტუდენტების სამართალში მიცემისა, რომ სიტყვა „სათვისტომო" გადაუთარგმნია ვიღაც უვიც თარჯიმანს „національный союз"-ად. აქედან წარმოსდგა საბრალმდებლო ოქმის კურიოზიც: დაპატიმრებულთ ჰბრალდებათ არალეგალურ საზოგადოებაში მონაწილეობის მიღება, რომელსაც სახელად „ოდესის ქართული ნაციონალური კავშირი (პარტია)" ერქვაო.

ჯერ დანამდვილებით არ იციან, როდის იქნება საქმის გარჩევა. შეიძლება დეკემბრის დამდეგს იყოს. თუ სტუდენტები დამნაშავედ იქნენ ცნობილი, სასჯელი სამის თვის ციხე იქნება. რასაკვირველია, ამას არავინ მოელის, მაგრამ მაინც ვნახოთ რა იქნება...

ქ. რაჭველი.

პეტერბურ. პოლიტეხნიკუმში ქართული სათვისტომოს დაარსება

თუმცა უკანასკნელ წლებში პეტერბურგის პოლიტეხნიკუმში ქართველ სტუდენტების რიცხვმა საკმაოდ იმატა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უკანასკნელ დრომდე ქართველ სტუდენტობას არა ჰქონია ისეთი დაწესებულება, რომლის შემწეობითაც შეიძლებოდა მათი შეკავშირება და მათი დაახლოვება. მხედველობაში არ ვიღებ, რასაკვირველია, ინსტიტუტში არსებულ ეგრედწოდებულ „ამიერ-კავკასიის" სათვისტომოს, სადაც ყველა კავკასიის ეროვნება დომხალივით არის არეული და რომელიც აზრთა სხვადასხვაობით უფრო „ბაბილონის გოდოლს" წააგავს, ვიდრე სათვისტომოს.

ქართულ სათვისტომოს დაარსება ჩვენთვის ცხად საჭიროებას შეადგენდა, მაგრამ ამის განხორციელებას აქამდე სხვადასხვა მიზეზები ხელს უშლიდა. ერთი მიზეზთაგანი ისიც იყო, რომ ინსტიტუტში მყოფი ქართველობა ერთმანეთს ნაკლებად იცნობდა და ამიტომ მას ერთსულოვნება აკლდა.

უმთავრესი მიზეზი კი ის იყო,

---

*) გემის დამტვირთავ მუშების ტერმინოლოგიიდან.

რომ ამ უკანასკნელ წლებში მომხდარ სტუდენტების არეულობისა გამო მინისტრის განკარგულებით უმაღლესს სასწავლებლებში ეკონომიური და სამეცნიერო წრეები აკრძალეს. იმ ხანებში, რასაკვირველია, სათვისტომოს დაარსებაზე ფიქრიც კი მეტი იყო!..

შემდეგ სამინისტრომ ისევ ნებადართო უმაღლეს სასწავლებლებში ეკონომიური ორგანიზაციების დაარსებისა. ამიტომ ჩვენც შევეცადეთ ჩვენი მიზნის განხორციელებას: ავირჩიეთ საჭირო პირები, შევიმუშავეთ სათვისტომოს წესდება და ინსტიტუტის გამგეობას ნების დასართველად მივმართეთ. ჩვენდა საუბედუროდ, ჩვენს განზრახვას წინ ახალი დაბრკოლება გადაეღობა. ინსტიტუტის მთავრობას სახელი „ქართული სათვისტომო“ არ მოეწონა ვითომ და როგორც ეროვნულ ნიადაგზე განცალკევების მომასწავებელი, და წინადადება მოგვცა სახელი გამოგვეცვალა. სახელის გამოცვლაზე ჩვენ უარი განვაცხადეთ და ჩვენი მოთხოვნილების კანონიერობა დავასაბუთეთ. ბოლოს როგორც იქმნა, ნება დაგვრთეს და ამ წლის გაზაფხულზე სათვისტომომ მოქმედება დაიწყო. უმთავრესი მიზანი, რომელსაც სათვისტომო ემსახურება არის ქონებრივი დახმარება. გარდა ამისა განზრახულია სათვისტომოსთან ეროვნულ-სამეცნიერო წრის დაარსება, რომელიც სათვისტომოს წევრებს ხელს შეუწყობს. ქართული კულტურის სხვადასხვა დარგების შესწავლაში. ჯერ-ჯერობით არჩეულ იქმნა სათვისტომოს გამგეობა, რომელსაც დაევალა ამ მიზნების განხორციელება. დასასრულ ორიოდე სიტყვა ჩვენი პოლიტეხნიკუმის ქართველებზე: ინსტიტუტში მყოფი ქართველობა მშრომელი და მუყაითი ხალხია, საერთოდ კარგად მეცადინეობენ. განსაკუთრებით კარგად მეცადინეობენ ამ უკანასკნელ წლებში ჩამოსულები, რომელთაც უფრო კარგს პირობებში უხდებათ მუშაობა ვიდრე ძველებს, რადგან უკანასკნელთ წინა წლების გაფიცვების დროს ბევრი დრო დაჰკარგეს.

ქონებრივად აქაური ქართველობა ღარიბია, რაიც მჭერმეტყველურად დაამტკიცა წარსული წლის ანკეტამ; სხვათა შორის, დიდიდან ინსტიტუტის დაარსებისა, აქ კურსი დაუმთავრებია 8 ქართველს; მათ შორის სამს საინჟინრო განყოფილება და ხუთს ეკონომიური.

ან-ფერი.

გაკვეთილების ახალი ნუსხა პირველ-დაწყებითი სკოლებში

ამას წინად ჟურნალ-გაზეთებმა რამოდენიმე საპროტესტო წერილი უძღვნა იმერეთის ეპარქიის სამრევლო პირველდაწყებითი სკოლების ხელმძღვანელთ და საბჭოს არსებული პროგრამის დარღვევისა და გაკვეთილების ნუსხის შეცვლისათვის. საეპარქიო მეთვალყურემ პრესის აზრს ყურადღება მიაქცია და სექტემბერში დარიგებულ ვოსტორგოვის პროგრამებში შესცვალა და გადააკეთა გაკვეთილების ნუსხა; მან სამშობლო ენის გაკვეთილების რიცხვი ყოველ განყოფილებაში 5—6-მდე გაადიდა. იხელმძღვანელებენ სამრევლო სკოლების მასწავლებლები შესწორებული ნუსხით თუ არა, ეს სხვა საკითხია. გასულ კვირაში ქუთაისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექციამაც როგორც ქალაქის, ისე სოფლის სკოლათა მასწავლებლებს ახალი დამტკიცებული ნუსხა დაუგზავნა. ამ ნუსხაში გაკვეთილების რიცხვი დანაწილებულია ასე:

1) ერთკლასიან სკოლებისათვის, სადაც სამ განყოფილებასთან მეცადინობს ერთი მასწავლებელი—საღვთო სჯული 6 გაკვეთილი კვირაში, რუსული წერითურთ—12, სამშობლო ენა—4, ანგარიში 6.

2) ოთხი განყოფილებისათვის ორი მასწავლებლით:

საღვთო სჯული — — 4 — 4
რუსული— — 0/6 — 9 — 12
სამშობლო ენა 6 — — — 6
ანგარიში — 6 — — — 6
გალობა — — 2 — — — 2

3) ოთხი განყოფილებისათვის ოთხი მასწავლებლით:

საღვთო სჯული 2 — 2 — 2 — 2
რუსული ენა— 0/6 —10 —10 —10
სამშობლო ენა 6 — 6 — 6 — 6
ანგარიში — — 6 — 6 — 6 — 6
გალობა — — 2 — 2 — 2 — 2

რუსულ ენას, სადაც (0) ნოლი უზის, იქ პირველნახევარ წელში ადგილი არა აქვს; პირველი და მეორე ნუსხა რჩება სოფლის სკოლებისათვის, მესამე კი ქალაქის სკოლებისათვის, სადაც ყოველ განყოფილებას საკუთარი მასწავლებელი ჰყავს. პირველსა და მესამე ნუსხებთა შორის დიდი განსხვავებაა საღვთო სჯულისა, სამშობლო და რუსული ენების გაკვეთილების რიცხვში.

ლადო ბზვანელი.

კადნიერება თუ პედაგოგიური სიბეცე?

პასუხად ბ. კორდელს

(დასასრული *)

შეიძლებოდა აქ დაგვესვა წერტილი და გაგვეთავებინა, მაგრამ რჩება ერთი მხარე ამ საკითხისა, რომელიც გამორკვევას თხოულობს, სახელდობრ — რა მასალას უნდა შეიცავდეს რუსული ენის სახელმძღვანელო. ერთი ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა, (და მათ შორის ეხლა ბ. კორდელიც) გაიძახის, რომ რუსული ენის სახელმძღვანელოს შინაარსი უნდა უსათუოდ ეხებოდეს ჩვენს ოჯახს, ჩვენს ცხოვრებას, ჩვენს ხალხს, ჩვენს ბუნებას, სალი პედაგოგია ამას მოითხოვსო. თვით განსვენებულმა გოგებაშვილმა, რომელსაც სხვებზე არა ნაკლებ სტკიოდა გული ჩვენი სკოლის სალ-ნიადაგზე დაყენებისათვის, აღნიშნა, რომ უცხო ენის, ამ შემთხვევაში რუსული ენის, შესწავლის დროს ბავშმა სამი საფეხური უნდა გაიაროსო: პირველ საფეხურზედ დედა-ენა სჭარბობს უცხოს, მეორეზედ—დედა-ენა უთმობს პირველობას უცხოს, ხოლო მესამე საფეხურზედ სრულიად უცხო ენაზე სწარმოებს სწავლაო. ჩემი „რუსსკოე სლოვო“, ამბობდა იგი, სწორედ ამ თანდათანობის მიხედვით არის შედგენილი და შეიცავსო პირველი ორი საფეხურის კურსს.

თუ გადავავლებთ თვალს გოგებაშვილის „რუსსკოე სლოვოს“ მეორე ნაწილს, დავინახავთ, რომ მცირე რიცხვი მოთხრობებისა და ლექსებისა ნათარგმნია ქართულიდან, უმრავლესობა კი „უცხო“, რუსთა მწერლების ნაწარმოებნია. ასეა იმ წიგნში, რომელიც დანიშნულია მეორე საფეხურზე სახმარებლად. რად მოიქცა ასე ბ. გოგებაშვილი? ნუ თუ მამულიშვილობა აკლდა განსვენებულს? მაგრამ ამის თქმა ხომ მისი ხსოვნის შეურაცხყოფა იქნება? მაშ რად მოიქცა ასე? იმიტომ, რომ სხვაფრივ შეუძლებელი იყო.

წ. კ. გ. ს. გამგეობის პედაგოგიური სექცია, რომელსაც მინდობილი ჰქონდა „რუსსკოე სლოვოს“ მეორე ნაწილის შევსება-შესწორება, ახალ გამოცემაში ზოგიერთი ქართულიდან ნათარგმნი მასალა გამოსტოვა და სამაგიეროდ რუს მწერალთა ნაწარმოებნი გაამრავლა. ეს კომისია რაღად მოიქცა ესე? იმიტომ, რომ სხვაფრივ არც იმას შეეძლო მოქცეულიყო. თუ ასეა, ბ-ნო კორდელო, ჩვენ რაღასა გვთხოვთ? ჩვენი სახელმძღვანელო ხომ შეიცავს უფროსს კლასების კურსს, შედარებით „რუსსკოე სლოვოსთან“.

ბ-ნი კორდელი გაიძახის: მეთოდიურ ქრისტომატიაში მოთავსებული მასალა „სრულიად უცხოა ინოროდეც მოწაფეთათვის, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მის ოჯახთან, მისი ხალხის ცხოვრებასთან, მის ეროვნებასთან“. ნამუსიანი კრიტიკოსი ამ საყვედურს მეორე საყვედურსაც დაუმატებდა და იტყოდა: აი არსებობს ესა და ეს მასალა, რუსულ ენაზე დაწერილი, რომელიც შეეხება ჩვენს ოჯახს, ჩვენი ხალხის ცხოვრებას, ჩვენს ეროვნებას, მაგრამ ამ ვაჟბატონებს, ჩვენებურ ვოსტორგოვებს, განგებ თვალი აურიდებიათ და თავიანთ წიგნისთვის აულიათ სრულიად უცხო მასალა. რატომ არ გვისაყვედურეთ, ბ. კორდელო, რატომ არ დაასახელეთ ასეთი მასალა? იმიტომ, რომ არ არსებობს ჯერჯერობით. ეს თქვენც კარგად იცით, მხოლოდ გინდოდათ ეფექტი მოგეხდინათ, მამულიშვილური პოზა მიგეღოთ. დიაღ, ეს ასეა, ხოლო ვერ გაგვიგია: ჩვენ რა შუაში ვართ აქ, ვის რა მოვპარეთ? რაც არ იყო, საიდან გაგვეჩინა. მთელს რუსეთში ერთად ერთი ტოლსტოი აღმოჩნდა, რომელმაც, როდესაც არ მოეწონა არსებული სახელმძღვანელოები, ასწია და თავის სკოლისთვის თითონ დასწერა ახალი სახელმძღვანელოები. მაგრამ ის ტოლსტოი იყო. ჩვენ უბრალო მოკვდავნი ვართ: იმისთანა საქმეს ვერ მოვკიდებდით ხელს, რაც ჩვენს ძალას აღემატებოდა. ასე მოქცევა არც თქვენ გაწყენდათ, ბ. კორდელო.

თუ იმდენი უნარი არ შეგწევდათ, რომ ბავშვებისათვის საკუთარი ნაწარმოები მიგეწოდებინათ, გეთარგმნათ ქართულიდანაო, იტყვის უთუოდ ბ. კორდელი.

მართლაც, ასეთი შეხედულებისანიც არიან, მაგრამ რამდენად ადვილი შესასრულებელია ასეთი მოთხოვნა? ამხრივ ცდა უკვე იყო ისეთი დახელოვნებული პედაგოგის მხრივ, როგორც იყო ბ. იაკობ გოგებაშვილი, მაგრამ სწორედ ყველაზე უფრო სუსტი ეს მხარე გამოვიდა მისი „რუსსკოე სლოვოსი“. შესაძლოა ჩვენს ყურს არ ეხამუშოს ის რუსული, რომელითაც არის ნათარგმნი მასალა ქართულიდან ამ სახელმძღვანელოში, მაგრამ, როდესაც ამ თარგმანს კითხულობს, მაგალითად, რუსული ენის და სიტყვიერების მასწავლებელი, ასეთ რუსულს დამახინჯებულად სთვლის. მართლაც, რა ღირებულობას წარმოადგენს, მაგალ., ასეთი რუსული თარგმანი მშვენიერი ქართული ლექსისა:

Солнце и бѣднякъ.

О солнце, взойди поскорѣй!
Не прячься ты тамъ за горой:
Отъ холода гибнутъ порой;
Иди жъ, бѣдняковъ отогрѣй.

აი თვით ორიგინალიდ:

ამომავალი მზე.

მზეო, ამოდი, ამოდი,
ნუ ეფარები გორასა!
სიცივეს კაცი მოუკლავს:
საწყალი აგერ გორავსა.

ან კიდევ:

Не побѣлѣетъ воронъ, хоть три его пескомъ. და სხვ.

გვერწმუნეთ, ასეთ თარგმანში ვერასოდეს ვერ ჩასწვდება ბავში უცხო ენის სიღრმეს, მის ბუნებას. ესეც არ იყოს, ვინ არ იცის, რომ ნათარგმანი, რაც უნდა კარგი იყოს იგი, ხშირად დაბლა სდგას ორიგინალზედ და ამახინჯებს მას: მათ შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც მთვარესა და მზეში, რასაც ნათლად ამტკიცებენ ზემოდ მოყვანილი მაგალითები.

ყველა ამ მოსაზრებათა გარდა არის კიდევ ერთი, არა ნაკლებ ყურად საღები. წარმოიდგინეთ, რომ ჩვენი ისეთი მასალით გავავსეთ სახელმძღვანელო, როგორც გვირჩევს ბ. კორდელი. მაშინ არ შეიძლება ისეთივე საქმე დაგვემართოს, როგორც იმ ჯიუტს თაგვს, რომელმაც თხარა, თხარა და კატა გამოთხარა? არ ისარგებლებენ სწორედ ამ გარემოებით ვოსტორგოვები და არ გვეტყვიან: ქართული ანბანიც გეყოფათ, დანარჩენი, რაც თქვენს სამშობლო მხარეს, თქვენს ხალხს, ოჯახს, ზნეჩვეულებას, ლიტერატურას შეეხება, ყველაფერი გაქვთ ნათარგმნი რუსულად და ამ ენაზედაც შეგიძლიათ გაეცნოთო, თუ გინდათო.

ჩვენის რწმენით ჩვენ გვესაჭიროება რუსული ენის საფუძვლიანი შესწავლა. რატომ? ეს თავის თავად ცხადია. რუსული ენის შესწავლა კი (როგორც ყოველი ენისა) შეიძლება მხოლოდ ნამდვილ რუსის მწერლების ნაწარმოებზედ. ჩვენ უნდა გავეცნოთ მხატვრულ ლიტერატურას და სწორედ ამ ლიტერატურაზედ შევისწავლოთ რუსულიენა. შიში, ვითომც რუსული ცხოვრების, ზნეჩვეულების გაცნობით, როგორც უცხოსი, ჩვენ გადაგვარების საშიშლავი ჩაგვეწვეთოს, უსაფუძვლოა: რუსული მხატვრული ლიტერატურა მდიდარია და მუდამ შეგვიძლია ისეთი მასალა ამოვარჩიოთ, რომელსაც გადაგვარებასთან საერთო არა აქვს რა, და ეს მასალა შევიმუშავოთ ისე, რომ შიშს ადგილი არ ჰქონდეს. ამის დამამტკიცებელია სწორედ თქვენგან დაწუნებული ჩვენი „მეთოდიური ქრისტომატია“, ბ. კორდელო, დანარჩენნი დარგნი მეცნიერებისა, ეგრედვე ჩვენი ქვეყნის, ხალხის, ზნეჩვეულების აღწერა, ჩვენის რწმენით, უნდა გვქონდეს სამშობლო ენაზედ. დღეს თუ ხვალ ეს დაგვეპირდება. არ სჯობდა, ბ. კორდელო, ამაზედ მიგექციათ საზოგადოების ყურადღება, თორემ ვაი თუ იძულებულნი გავხდეთ მაშინაც იმავ რუსულ სახელმძღვანელოებს მივმართოთ. ჩვენ, რის გაკეთებაც შეგვეძლო დღეს-დღეობით, გავაკეთეთ: საჭირო იყო, ზემო აღნიშნულ ჩვენი რწმენის მიხედვით, მიგვეცა ჩვენი ბავშვებისათვის შეძლება გასცნობოდნენ საუკეთესო რუსულს; მიგვეწოდებინა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც გაუადვილებდა ამ ენის შესწავლას და მით მისცემდა შეძლებას დასწაფებოდნენ რუსული ლიტერატურის ანკარა ნაკადულს,—და მივაწოდეთ კიდეც „მეთოდიური ქრისტომატიის“ სახით.

ბოლოს მკითხველის ყურადღება არ შეგვიძლია არ მივაქციოთ იმ გარემოებას, რომ ბ. კორდელმა ჭმოისურვა რა ჩვენი სახელმძღვანელოს „გარჩევა“, განზრახ არ აღნიშნა მისი არც ერთი კარგი (დადებითი) მხარე, როგორც სახელმძღვანელოსი. მიუდგომელი კრიტიკოსი ამას თავის დღეში არ ჩაიდენდა. ბ. კორდელი შეეხო მხოლოდ ერთ მხარეს ჩვენი სახელმძღვანელოისას, სახელდობრ მასალის შინაარსს და ამაშიაც სიმართლეს გადუდგა: ცილი დასწამა, ვითომც გამარუსებელ ტენდენციას ხელს უწყობსო.

დასკვნა ზემო ნათქვამიდან შემდეგია:

1. რუსული ენის შესწავლის საკითხი დღევანდელ ჩვენ ცხოვრებაში სკოლის ერთი ძირითად საკითხთაგანია და ამიტომ მასზედ ზერელად მსჯელობა არ ივარგებს: ასეთი მსჯელობა საკითხს სისწორით ვერ გადასწყვეტს, ხოლო ზარალს კი მოგვიტანს.

2. ყველა იმას, ვინც კისრულობს ამ საკითხზედ მსჯელობას და ჩვენი სკოლის პატრონობას, უნდა მოეთხოვოს როგორც საქმის საფუძვლიანი ცოდნა, ისე საკმაო გონიერება.

ხოლო კერძოდ ბ. კორდელის საყურადღებოდ:

3. მამულიშვილობა, პატიოსნება და სხ. მაგვარი სათნოება არავის პრივილეგიას არ შეადგენს.

4. უსაფუძვლოდ ადამიანის შეურაცხყოფა, გინდა ეჭვის შეტანა მის ნამუსიანობაში საკადრისი როდია შეგნებულ ინტელიგენტისათვის.

იაკ. ზედგინიძე.
ვ. ჯაფარიძე.

---

*) იხ. „სახ. გაზეთი“ № 1038.

მოწერილი ამბები

სოფ. მარტყოფი. (გარე-კახეთი) ვერ იქნა, ვერ მოელო ბოლო მარტყოფში ბოროტ-მოქმედებას. იშვიათი წელიწადი გავა ისე, რომ აქ რაიმე სისაძაგლე არ მოხდეს. აქაური მაწანწალები, და უფრო-კი მათი წამქეზებლები, არ კმაყოფილდებიან იმითი, რაც ჩაიდინეს:—„კუზიანს სამარე გაასწორებსო“. ან კი როგორ შეიძლება მათი ლაგამის ადება, როდესაც მათ, არავისაგან არავითარი შიში არ აქვთ. ამოდენა სოფელი (5000 მც.) ღვთის ანაბარად არის დატოვებული. მოხდება რამე ამაღელვებელი შემთხვევა თუ არა, ყველაფერი ხალხმა უნდა განიცადოს შიშით და დუმილით. მთავრობა ასეთ მდგომარეობას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, და ეს გარემოება ყველას აიძულებს ხმის ამოუღებლივ დანებდეს ჩარხის უკუღმა ტრიალს; სამწუხაროდ ბოროტი ხალხის მოქმედების ასპარეზი განუსაზღვრელია, ამ „სოფლის გმირებისაგან“ არის დამოკიდებული სოფლის ბედიღბალი. მათი ქსელი სუსტია, მაგრამ დიდი. ამ ქსელშია ჩახლართული სოფლის „შემოსავალ-გასავლის“ დავთარიც. ვერ იქნა და ვერ დაინახა იგი სინამდვილით ხალხმა. „ღვთის მადლით“ ჯერ-ჯერობით გაფლანგულია რამდენიმე ასი თუმანი და რამდენი იქნება ნამდვილი ანგარიშის შემდეგ, ეს ღმერთმან უწყის; ამას-კი ვიტყვით, რომ სახელმწიფო ხარჯის მოსაკრეფად (800 თუმნამდე არის) სოფელში ჩაყენებულია ეკზეკუცია, რომელიც თავის დანიშნულებას გულმოდგინედ ასრულებს. სოფელს ავიწროვებენ, სოფლის „წურბელების“ წინააღმდეგ კი არავინ არავითარ ზომებს არ იღებს. ყველა რომ თავის მოვალეობას შესაფერისად ასრულებდეს, სოფელს ეკზეკუციას არასდროს არ ჩაუყენებენ და არც თუ ვალი (ნედოიმკა) ექნებოდა, მაგრამ...

5 გიორგობისთვეს, როდესაც ხალხი ახლად დაძინებული იყო, მღვდელ ალ. ეპიტაშვილის თივას (დაახლოვებით 1200 ფუთზე მეტი) ვიღაც ბოროტ-მოქმედებმა ცეცხლი მოუკიდა, ბოროტმოქმედნი მიიმალნენ. ცეცხლი იმდენად ძლიერი, შეუქმოფენი იყო, რომ სოფელი მთლად გაანათა. ხალხს შველა უნდოდა, მაგრამ ამაოდ: ახლო ვერავინ უდგებოდა. ეს ზარალი საგრძნობია მით უფრო, რომ სოფლიდან, თივის სიძვირის გამო, თივა სულ გაზიდულია ტფილისში, მღვდელს კი 20 სულამდე გამოსაკვები საქონელი ჰყავს.

უკმაყოფილო.

საკანონმდებლო დაწესებულებაში

ერთი თუ ორი ფრაქცია?

სოციალ-დემოკრატთა ფრაქციის განხეთქილებამ ისეთი მწვავე ხასიათი მიიღო, რომ თვით ფრაქციის ბელადებსაც კი თავი და ბოლო ვერ გაუგიათ. ფრაქციის ორად გაყოფა სათათბიროს თავჯდომარეს არ აცნობეს, პრეზიდიუმისთვის ჯერ კიდევ ერთი ფრაქცია არსებობს; სამაგიეროდ „მეუმრავლესთა“ ფრაქციის თავმჯდომარემ მალინოვსკიმ გამოყოფის ამბავი ჩხეიძეს აცნობა. ჩხეიძეს არ ჰსურს ეს დაიჯეროს და მომხდარი ამბავი ფაქტად აღიაროს; ამიტომ მას მალინოვსკისთვის შემდეგი პასუხი გაუცია: „მხოლოდ ერთი სოციალ-დემოკრატთა ძველი ფრაქცია არსებობს, ფრაქციის წევრნი ყოველ ღონისძიებას მიიღებენ დაიცვან ფრაქციის მთლიანობა და ექვს დეპუტატს ნება არ მისცენ სოც.-დემოკრატთა ფრაქციის სახელით ბოროტად იმოქმედონო“.

წკიპურტები

ქართულ თეატრში ახალ დრამის „ნაგავის“ წარმოდგენას სახელოვანი მგოსანი აკაკი დაესწრო. წარმოდგენის გათავების შემდეგ გაოცებულმა მაყურებლებმა პოეტს ჰკითხეს, როგორ მოეწონათ პიესა. აკაკიმ უპასუხა: „პიესა საუკეთესოდ თვით ავტორს დაუფასებია: „ნაგავი“ სწორედ შესაფერი სახელია პიესისათვისა“-ო.

ჩვენ.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

10—11 ნოემბერი.

უცხოეთი.

ვენა. ჰუნგრეთის დელეგაციის გარეშე საქმეთა კომისიამ დაამტკიცა გარეშე საქმეთა სამინისტროს ხარჯთაღრიცხვა.

პეკინი. გაზეთებში გამოქვეყნებულია რუსეთ ჩინეთის ხელშეკრულება.

მადრიდი. სტუდენტთა და პოლიციას შორის შეტაკება მოხდა. პოლიციამ იარაღს მიჰმართა. რამდენიმე კაცი შეიპყრო.

ვალენსია. სტუდენტთა მღელვარებაა. უნივერსიტეტი დაკეტილია.

ტოკიო. ჩინეთის სესხის თაობაზე იაპონიასა და რუსეთ შორის შეთანხმება მოხდა.

რევოლიუციონერ ტაკინოს, რომელმაც გარეშე საქმეთა მინისტრის მოკვლა განიზრახა, სასამართლომ ათი წლით კატორღა მიუსაჯა.

ბელგრადი. მთავრობამ განსაკუთრებული კონსტიტუცია შეიმუშავა ახლად დაპყრობილ ოლქების მოსაწყობად. დაპყრობილ ოლქთა მცხოვრებნი სარწმუნოების დარგში თავისუფალნი არიან, მაგრამ მოკლებულნი არიან უფლებას მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის პოლიტიკურ საქმეებში. აგრეთვე მათს წარმომადგენლებს სკუპშჩინაშიაც არ აქვთ დათმობილი ადგილი.

ბერლინი. ბერლინის მაგისტრატი იუწყება, რომ ერთ კვირაში რუსეთიდან შემოტანილი ხორცი 5.500 ფუთი გაიყიდაო, ღორის ხორცი 3.300 ფუთი გაყიდულა.

რომი. პოლიტიკოსთა წრეებში გრეის წინადადებას სიამოვნებით ეგებებიან. იმედი აქვთ წინადადება არც ვენაში გამოიწვევს ოპოზიციას.

ლონდონი. გაზეთები დაწვრილებით გადმოგვცემენ სუფრაჟისტ ქალების დაცემას ლოიდ-ჯორჯზე. მინისტრის ავტომობილის ფანჯრები ერთიანად ჩალეწეს. როდესაც მინისტრი სტუდენტთ კლუბში შედიოდა, სადაც მიტინგის თავმჯდომარედ უნდა ყოფილიყო, მინისტრს პირისახეში მკვდარი ხოხობი ესროლეს

ათინა. პალატამ მიიღო საბერძნეთ-ოსმალეთის საზავო ხელშეკრულების პროექტი.

ბერლინი, კოკოვცევი საზღვარს რომ გადასცდა, ბეტმან-ჰოლვეგს მისალმების დეპეშა გაუგზავნა. ფინანსიელთა წრეში დაინტერესებულნი არიან კოკოვცევის განცხადებით, კერძო რკინის გზათა გასაყვანად სესხის აღების თაობაზე.

იმპერატორი ვილჰელმი ამ საკითხს დაწვრილებით გაეცნო. მოსალოდნელია, რომ რკინის გზათა აშენებლობა რუსეთის წარმოებას განავითაროს.

სოფია. გაზეთების სიტყვით, ბულგარეთი და რუმინია მოწადინებულნი არიან შეთანხმდნენ მშვიდობიანის გზით. რუმინიის მთავრობა აუნაზღაურებს იმ ზარალს, რაც რუმინიის ჯარმა ბულგარელ მცხოვრებთ მიაყენა. ზარალს ახალი საანკეტო კომისია გამოიკვლევს.

რუსეთი.

გლადივოსტოკი. რუსეთის ვაჭრობა-მრეწველობის დამხმარე საზოგადოება დაარსდა. საზოგადოების მიზანია ყვითელ კანიან ვაჭრებს გაუწიონ წინააღმდეგობა.

პეტერბურგი. შავი ზღვის სანაპიროების წარმომადგენელთა კრება დაიწყო. კრება განიხილავს ამ მხარის სამეურნეო და სარეწველო საკითხებს. კრების სხდომები ორ კვირას გასტანს.

ცარიცინი. ვაგონების [illegible] თავი მუშები გაიფიცნენ. შეწყვეტილია მუშაობა ხე-ტყის სახერხს 40 ქარხანაში. მუშებმა ხელფასის მომატება მოითხოვეს. ყველანი დაითხოვეს.

პეტერბურგი. ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრმა სათათბიროში წინადადება შეიტანა, გადასდონ ფული, რათა საკომერციო სასწავლებლებში აღმოსავლეთის ენათა კათედრა დაარსონ.

პეტერბურგი. სახალხო განათლების მინისტრმა სათათბიროში წარადგინა 10 მილიონ დამატებითი კრედიტის გაღების წინადადება, რათა 1914 წლისთვის პირველ დაწყებითი სასწავლებლებს დაარსებას მოჰხმარდეს. ამაში 673.452 მ. სასტატო სემინარიების გაღებას მოჰხმარდება.

პეტერბურგი. მფრინავი კოსტინი, რომელიც ოსმალებსა ჰყავდათ ტყვედ, კუს ავადმყოფობით გარდაიცვალა.

ბეჭვდითი სიტყვის კანონ-პროექტი სათათბიროს კომისიაში.

პეტერბურგი. სათათბიროს კომისია განაგრძობს კანონ-პროექტის მუხლობრივ განხილვას. განსახილველია შემდეგი თავი: „დროებითი გამოცემათა გამოსვლის წეს-რიგი ქალაქებში“. სუხანოვი წინააღმდეგია მთელი თავისა. მისი აზრით, იგი პრესის თავისუფლებას ჰბორკავს. კადეტი გრონსკი: კანონ-პროექტის ეს განყოფილება რუსეთის მოქალაქეთ ორ უთანასწორო ნაწილად ჰყოფს: ერთ მხარეს არიან სრულუფლებოვანი ქალაქის მცხოვრებნი და მეორე მხარეს კი უფლება ახდილი სოფლის მცხოვრებნი. ამ მუხლით რუსეთი ორ ნაწილად იყოფება: ევროპის და აზიის რუსეთადო. გრ. ბენიგსენი გაახსენებს წევრებს, რომ ახლო ხანში შვეციაში გამოვიდა ბეჭდვითი სიტყვის კანონი, რომელიც შვეციასაც ორად ანაწილებსო. გრ. კაპნისტი: სოფლებსა და ქალაქებში ჟურნალ-გაზეთების გამოცემის უფლებანი რომ გავათანაბროთ, მაშინ სოფლის ჟურნალ-გაზეთობა ჩაფრების ხელში ჩავარდება, მათი თვალყურის ქვეშ იქნება. ვგონებ, რომ ამგვარი მეთვალყურეობა პრესისთვის სასურველი არ უნდა იყოს. გრონსკის აზრით აღძრულ საკითხს მხოლოდ პრინციპიალური მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სოფლად, სადაც სტამბაც არ მოიპოვება, გაზეთის გამოცემა ფრიად ძნელია. თავ. ვოლკონსკი წინადადებას იძლევა, სტამბის დაარსებისა და გაზეთის გამოცემის უფლება იმ სოფლებს მიენიჭოთ, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 5.000-ზე ნაკლები არ იქნება. გერასიმოვი კაპნისტს უპასუხებს. პრესის თვალყურის დევნა სასამართლოს წესით უნდა სწარმოებდესო. გრომიცკის აზრით საჭიროა მთელ იმპერიაში ერთი და იგივე წესრიგი იყოს დამყარებული. პურიშკევიჩს საჭიროდ მიაჩნია პრესის შეზღუდვა სოფლად. გრ. ბენიგსენი: სოფლებისა და ქალაქების დაყოფა წმინდა პრაქტიკული მოსაზრებით არის გამოწვეული: სოფლებში არ არიან ისეთი თანამდებობის პირნი, რომელთაც შეეძლოთ გაზეთებს, საცა თვალყური ადევნონ. ბენიგსენი წინადადებას აძლევს, იმ სოფლებისათვის 10.000 ზე ნაკლები მცხოვრები არის შემოიღონ ნებადართვითი წესი. პურიშკევიჩი წინააღმდეგია განცხადებითი წესის შემოღებისა ადგილებში, თუნდაც 100.000 ზე მეტი იყოს მცხოვრები. სწორედ ასეთ ადგილებში ბინადრობს ისეთი ელემენტი, რომელიც ადვილად მიემხრობა აჯანყებას; ასეთნი არიან მუშები, რკინის გზის მოსამსახურენი და სხვა. მილიუკოვი: პურიშკევიჩის სიტყვა იმის დამამტკიცებელია, რომ საჭიროა საკითხი პრინციპიალურად იყოს გადაწყვეტილი. ოქტომბრისტები საკითხის პრინციპიალურ მხარეს გვერდს უხვევენ. ბეჭვდითი საქმეთა მთავარ გამგეობის უფროსი კანონპროექტის მუხლს იცავს. შინაგან საქმეთა მინისტრის აზრით საჭიროა შეიქმნას ნათელი და განსაზღვრული ნორმა; მხედველობაში რად უნდა იყოს მიღებული მცხოვრებთა უეჭველად ათი ათასი რიცხვი და არა რვა ან თორმეტი ათასი? კითხულობს მინისტრი, ამა თუ იმ ადგილის კულტუროსნობა ცხად ჰყოფს იმას, თუ რას წარმოადგენს იგი ადმინისტრატიულად — ქალაქს თუ სოფელს. სოფლად უფრო საჭიროა საზოგადოებრივ მშვიდობიანობის წესრიგის დაცვა, რადგანაც, საუბედუროდ, სოფლის მცხოვრებთა შორის ფრიად სუსტად არის განვითარებული უფლებრივი

შეგნება, კანონიერების პატივისცემა; ამიტომაც დიდ საფრთხეს წარმოადგენს სოფლად იმ ხასიათის გაზეთების გამოცემა, რომელთაც მიზნადა აქვთ დასახული პოლიტიკურად გაუწვრთნელ ხალხში მღელვარების შეტანა. პრესის მეთვალყურეობა არ შეიძლება მიენდოს ადმინისტრაციის დაბალ მოხელეებს, რადგანაც ისინი საკმაოდ არ არიან განათლებულნი. ამიტომაც მთავრობა შემდეგ გზას დაადგა: გაზეთის გამოცემის ნებართვა უნდა დართოს ადგილობრივმა ადმინისტრაციამ რადგანაც მან უკეთ იცის ადგილობრივი პირობები და ისიც იცის, შესაძლებელი იქნება პრესის თვალ-ყურის დევნა თუ არა. მთავრობა ამ საქმეში ჰხელმძღვანელებდა პრაქტიკულის მოსაზრებით და არა იმ მებრძოლ პოლიტიკით, რასაც მთავრობას დაუმსახურებლად სწამებენ ოპოზიციის წარმომადგენელნი. ილაპარაკეს პურიშკევიჩმა და მილიუკოვმა. კომისიამ ოქტომბრისტთა წინადადებით დაადგინა,—ამ განყოფილების სათაური ამ სახით შეიცვალოს: „დროებითი გამოცემათა წესრიგი ქალაქებში, ქალაქ გარედ, სოფლებში და იმ ადგილებში, სადაც მცხოვრებთა რიცხვი 10.000 ზე ნაკლები არ არის“. კომისიამ 51 მუხლი განიხილა. გრ. ბენიგსენი ოქტომბრისტთა სახელით აცხადებს, მუხლიდან ის ადგილი გამოსტოვონ, სადაც ნათქვამია, რომ დროებითი გამოცემათა ნებართვისთვის შეიძლება მიჰმართონ ბეჭდვითი საქმეთა კომიტეტს ან ინსპექტორს. ოქტომბრისტები აუცილებლივ მოითხოვენ უარჰყონ ისეთი ადგილი, სადაც გამომცემელს ნებართვის განცხადებაში გაზეთის პროგრამის აღნიშვნა ევალება.

აღნიშნულ მუხლს იცავდა ბეჭდვითი სიტყვის მთავარ გამგეობის უფროსი.

მე-51 მუხლი ოქტომბრისტთა შენიშვნით მიიღეს.

მე-52 მუხლი ოქტომბრისტთა და კადეტთა რედაქციით მიიღეს; ამ მუხლის ძალით პასუხისმგებლობა რედაქტორმა უნდა განაცხადოს, იგი გამოცემის სრული პასუხისმგებელმა, თუ ერთ განსაზღვრულ წადილისა.

მცირეოდენის ცვლილებით მიიღეს 54 და 58 მუხლები.

თეატრი და ხელოვნება

ქართული თეატრი. მეტად სუსტი პიესა გამოდგა ნ. შიუკაშვილის უკანასკნელი ნაწარმოები „ნაგავი“. ეს მით უფრო სამწუხარო იყო, რომ პირველმა მოქმედებამ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა და კარგი იმედი აღძრა მაყურებლებში, ცოცხლადაა დაწერილი, შინაარსიანია და სრულებით არ ემჩნევა გაჭიანურება—ეს ჩვეულებრივი ნაკლი ჩვენი ახალი დრამატურგებისა. მაგრამ შემდეგმა ორმა მოქმედებამ, განსაკუთრებით მეოთხემ სრულიად გააქრო ეს იმედი და გამოიწვია სრული უვარგისობის გრძნობა.

პიესის შინაარსი ორი სიტყვით შეიძლება გადავცეთ მკითხველებს. პატიოსანი და საყვარელი მასწავლებელი პეტრე გიორგაძე (მესხიშვილი) სამსახურიდან დაითხოვეს თავის პირდაპირობისა და იმისთვის, რომ თავის ეროვნების მოსარჩლე იყო. მას თანამშრომლად მიიწვევს „სხივის“ რედაქტორი (ზარდალიშვილი). მაგრამ მალე გამოაშკარავდება, რომ რედაქტორი და მისი თანამშრომლები კოტე და თეოფილე (შალიკაშვილი და გუნია) მოკლებულნი არიან ყოველგვარ საზოგადოებრივ—ეროვნულს პრინციპებს და ემსახურებიან მხოლოდ პირად გამორჩენას, იმას ცდილობენ, რომ ვისმე რამე ააძრონ, სინდისს და პატიოსნებას ისე ჰყიდიან, როგორც უბრალო საქონელს. ეს ახირებული მეგაზეთენი იმასაც კი არ ერიდებიან, რომ მანდოიანცისაგან ქრთამი აიღონ და გლეხებს საცხოვრებელი მიწა-წყალი გამოაცალონ ხელიდან. გიორგაძე კი თავგამოდებული დამცველია გლეხების ინტერესებისა, ამიტომ თავს ანებებს „სხივს“, აარსებს საკუთარ გაზეთს, მაგრამ საქმე ცუდად მიდის, არც მკითხველი შერჩება და არც თანამშრომელი და როცა გაიგეს მანდოიანცმა გლეხებზე გაიმარჯვა, ჭკუდან შეიშლება. მეოთხე მოქმედებაში ნადიმია გამართული, თავად რევაზ ბარველიძის (მესხი) სახლში, ჩვეულებრივი მხიარულობა, ოხუნჯობა; ნადიმის დასასრულ შემოდის შეშლილი პეტრე, რომელიც იცინის, ტირის და ბოლოს ხელებით ახრჩობს თავადის ქალს ანეტას (ქ. მდივანი), რომელიც წინად შეყვარებული იყო მაზე.

რამდენად ავტორს უნდოდა ჩვენი პრესის დახასიათება, გამოიჩინა სრული უვიცობა ჩვენი გაზეთების ცხოვრებისა. მისი პიესა ამ მხრივ ყოვლად შეუფერებელი შარჟია, მოკლებული სრულიად სინამდვილეს. დღემდის ჩვენს რედაქციებს ვერავინ წაართმევს ზნეობრივ სიფაქიზეს და კერძოდ, თუ ვინმე გაბედულად ხმა მაღლა ღაღადებდა ტერიტორიის დაცვას, თუ ვინმე თავგანწირულად ექომაგებოდა გლეხს, ეს ჩვენი გაზეთები იყვნენ განურჩევლად მიმართულებისა, ამიტომ შიუკაშვილის რედაქტორი და თანამშრომლები კოტე და თეოფილე მხოლოდ ავტორის უცოდინარობის და ფანტაზიის ნაყოფია, და უნდა ვსთქვათ, არასაკადრისი ცილისწამებაცაა. ამიტომაც გაუგებარი პიროვნებაა გიორგაძე და მისი შეტაკება „სხიველებთან“ არა რეალურია. ამ გვარადვე არაა ნამდვილი და მხატვრული მისი გაგიჟება. საშინელი ამბავია, რომ გლეხები უმამულოდ რჩებიან და მიწა ვაჭარ მანდოიანცზე გადადის, მაგრამ როცა ეს გარემოება ვისმე გაგიჟებას იწვევს, მაშინ საშინელი მოვლენა სასაცილო ხდება. ყოველი განცდა, ტანჯვა, მწუხარება მხატვრული ნაწარმოებში უნდა იყოს შეწონებული, შეთანხმებული მიზეზთან და არა გადამეტებული. როდესაც მგლოვიარე ადამიანი ძალზე ყვირის, სახეს ჩამოიხოკს, წამდაუწუმ გულზე ხელებს იცემს, იგი ნაცვლად შებრალებისა და თანაგრძნობისა სიცილს მოგვრის ხოლმე. ტრაგიული გმირის ვაებას ყოველთვის ბუნებრივი, ფსიხოლოგიური საზღვარი აქვს დადებული, შიუკაშვილმა ვერ შეიცნო ეს საზღვარი, გადალახა, გადაჩეხა თავი გმირი, დრამა კომედიად გადააქცია, გადაიჩეხა ხევში და შიგ დამარხა თავისი მხატვრობა. ყოველ შემთხვევაში, თუ საჭიროდ დაინახა გიორგაძის გაგიჟება, რის მაქნისი იყო, მეოთხე მოქმედების აურზაური, რა კავშირი აქვს მას პიესის შინაარსთან, დედააზრთან?!

მსახიობების თამაშის შესახებ არა ითქმის რა. ძნელია ასეთი პიესის წარმოდგენა. მესხიშვილმა ოდნავად ვერ გაანამდვილა პეტრე და სიგიჟის სცენები მარტო მწარე ღიმილს იწვევდნენ საზოგადოებაში. ცოტაოდენი სიცხოველე შეიტანეს წარმოდგენაში გუნიამ და შალიკაშვილმა, რომელთა მხიარულებას უნდა დავუმადლოთ, თუ წარმოდგენამ, მთლად არ დაავადა მაყურებლები.

კალამი.

(ტასო აბაშიძის ბენეფისის გამო)

ამ ხუთშაბათს, 14 ნოემბერს, ქართულ თეატრში დანიშნულია ბენეფისი ჩვენის სცენის თვალსაჩინო მსახიობ-ქალის **ტასო აბაშიძისა**.

ტასო აბაშიძე ქართულ სცენაზედ ქალთა შორის ერთი უნიჭიერესთაგანია. საზოგადოებას იგი უყვარს და აფასებს კიდეც. ამიტომ იმედია, მის სასცენო დღესასწაულს გულმხურვალედ მიეგებება იგი.

წარმოდგენილი იქნება **გრიბოედოვის „ვაი ჭკვისაგან“**, თარგმანი განდეგილისა. როლები ასეა განაწილებული: ფამუსოვი ვ. აბაშიძე, ჩაცკი—ზარდალიშვილი, სკალაზუბი—გუნია, სოფიო—ქიქოძისა, მოლჩალინი—შალიკაშვილი.

თითონ მობენეფისე **ლიზას** როლს ასრულებს,—თუ არა ვცდებით,—პირველად. მისი ცქრიალა, სიცოცხლით სავსე ნიჭი—ზედ გამოჭრილია ამ როლისათვის.

ავლაბრის თეატრი. 10-ს ნოემბერს ივანიძის რეჟისორობით წარმოადგინეს აკაკის „პატარა კახი“, მაგრამ სცენის მოყვარეებმა როლის ცოდნას მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ. თეიმურაზის როლს ბ. ნინოშვილი ასრულებდა, არა უშავდარა მხოლოდ ჩქარობდა. არა უშავდარა ქ ჟურულს დედოფლის როლში, აგრეთვე ბ. ქეიძეს პატარა კახის როლში, მხოლოდ მას, როგორც მსახიობს, მეტი მოეთხოვება. გივის როლს ასრულებდა ბ. მაჩხანელი. მან ვერ განასახიერა, დინჯი და დარბაისელი გივი. კარგი იყო გელას ქალის, ტურფას როლში ქ. მარგველაშვილი. კარგები იყვნენ: ბაადური, რევაზი. ხალხი კმაყოფილი დაიშალა. თეატრში მაყურებლები კარგ სიცივესა გრძნობენ. **ვახო.**

დ. კლდიაშვილის საღამო.

დღეს, 12 ოქტომბერს, ქართულ თეატრში ჩვენი ნიჭიერი მწერალი ჰუმორისტი დავით კლდიაშვილი მართავს ფრიად საინტერესო **სალიტერატურო საღამოს**, ა. ჯანელიძე წაიკითხავს ლექციას „ეროვნული შემოქმედება“ დ. კლდიაშვილი (მოთხრობა) ჯ. ჯორჯიკია (მინიატურები), ი. გრიშაშვილი (ლექსები) დ. აკოფაშვილი (სიმღერა) ქართ. დრ. საზ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება: დავ. კლდიაშვილისავე „დარისპანის გასაჭირი“ სურ. 1 მოქმ. მონაწილეობენ; ბ-ნნი ვალ. გუნია, ვალ. შალიკაშვილი, ი. ზარდალიშვილი, ქ-ნი ე. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი, მ. მდივანი, ა. შოთაძე და ა. ასათიანი.

ქუთაისის ქალაქის თეატრი. კვირას, 10 ნოემბერს, ქ. ქუთაისში განზრახული სალიტერატურო საღამო ხუთშაბათს, 14 ნოემბრისათვის გადაიდო.

ღია წერილი

ქართული თეატრის გამგეობას.

კვირას, 10 ნოემბერს, მე, თქვენმა უმორჩილესმა მონამ მოვიწადინე დავსწრებოდი ქართულ წარმოდგენას. წარმოსადგენად დანიშნული იყო ნ. შიუკაშვილის პიესა: „ნაგავი“. ჩემდა საუბედუროდ ბილეთები სულ გაყიდული აღმოჩნდა. რადგანაც პიესის ნახვა მეინტერესებოდა, ავიღე კანდარაზე ფეხზე დასადგომი „კონტრამარკა“, გადავიხადე 40 კაპეიკი. შევედი, დავდექ თავისუფალ ადგილზე. როდესაც წარმოდგენა დაიწყო, მობძანდა ერთი „კაპელდინერი“, წამკრა მუჯლუგუნი და მიიხრა: „აქ რას დამდგარხარ, დიჯეკიო“. მოვახსენე, ფეხზე დასადგომი ბილეთი მაქვს მეთქი. მან მაინც უზდელად ხელით გამითრია „აქ არ არის თქვენი ადგილიო“. ამას ბ-ნი მიხეილ ლელაშვილიც დაამოწმებს, რომელიც იქვე იდგა. როდესაც კასირს ფული უკან მოვთხოვე, არც ეს ინებეს. და იმის მაგივრად, რომ შეურაცხყოფა მე მომაყენეს, პირიქით მათვე მიმართეს პოლიციელს „გაიყვანეო“.

მივმართავ პატივცემულ ქართული თეატრის გამგეობას და ვთხოვ „კაპელდინერების“ ასეთ უზრდელსა და შეუფერებელ საქციელს ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს. თუ თავისუფალ ადგილზე დგომის უფლება არა მქონდა, აღარც ბილეთი უნდა მოეყიდნათ.

პეტრე ახალკაციშვილი.

წერილი რედ. მიმართ

ბ-ნო რედაქტორო! ნება მიბოძეთ, რათა თქვენი გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადო ბ. ლონგინოზ მელაძეს, რომელმაც მათხოჯის უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოთ 35 მან. 55 კ. შეაგროვა. შემომწირველთა სიას აქვე გიახლებთ.

სია შემომწირველთა: თითო მანეთი შემოსწირეს: ლ. მელაძემ, ი. ქილიფთარიმ, ე. ალექსანდროვმა; შ. ჟირდამ, გ. პ. პოპოვმა, ა. მარიასიანმა, ა. ვორობიევმა, ა. კორპელიამ, არასტიანცმა, ტ. ხაჩატუროვმა, ა. ნაჯაფოვმა, ფატალოვმა დადაშევმა. ათ-ათი შაური: გ. სურგულაძემ, ა. მელიანცმა, ა. მუგალიანცმა, ხ. ტერუნცმა, გ. მედოდანჟიანცმა, მ. ნეროვიანცმა, ი. შეროზიამ, ა. დავითიანცმა, მ. გოგოლაშვილმა, ა. ტონუნცმა, ი. ბარანოვმა, ა. ბაბაევმა, ა. აკობჯანოვმა, ხ. გრიგოროვმა, ს. ჯაპადიანცმა, პ. რეზანოვმა, ს. ბუგიანიშვილმა, გ. შურგაიამ, ი. დუნდუამ, ო. ქუთათელაძემ, ა. ცქიტიშვილმა, ფ. სულტანოვმა, შ. კასიევმა, ვ. ცირიკიძემ, ს. ტოროსოვმა, ა. ავანტოვმა, ს. კაბანიანცმა, გ. სააკოვმა, ო. ახსახალოვმა, მ. კაიდერმა, მ. მახმუდოვმა, ი. ასლანოვმა, ი. პოპოვმა, ვ. ხუჭუამ, ა. მელიანცმა, მახარობელიძემ, აზიმოვმა, ა. ამბარცუმოვმა, ტ. პოგოსოვმა. ექვს-ექვსი შაური: დ. კაჭარავამ, კ. კვანტრიშვილმა, მ. მახმუდოვმა, ა. ასლანოვმა, კაკუტიამ, ლოგინოვმა, თ. ჩრემესოვმა. ხუთ-ხუთი შაური: მ. ზახაროვმა, ა. კიტოევმა, გ. ხუტიევმა. პ. კანდელაკმა 20 კ.

მათხოჯის უფასო სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს გამგეობის მონდობილობით

მღვ. ნიკიფორე ბარბაქძე.

რედაქტორი **ნ. კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი.**



თმის საღებავი
კაკლის ექსტრაქტისაგან.
სრულიად უვნებელია. ღებავს სწრაფად და საფუძვლიანად, როგორი ფერისაც გნებავთ: ნაზი ქერისაგან შავ ფერამდე.
პარფ. ქელნი, რიგა.
ფერ. მიულგენს,
Мотцль. 357852.
1505
უმაღლეს სასახლის იჯარადარი.
ფლაკონი 1 მ. 20 კ. 2 მ. იყიდება ყველგან.

ექიმი ა. ნ. ჩიახამიძე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
15 ივნისიდან მიიღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

25 მანეთად ვგზავნი
ნიადაგის გაჭოსაქმლევ მანქანას.
საწინადარი 15 მანეთი წინადვე უნდა გამოიგზავნოს.
მისამართი: მოსკოვი, „სევერნი“ სასტუმრო, ო3. ივ. კოსტილიოვს.
მეტცლ. 481648. 1589

მუხრანის ქუჩაზე, სადაც წინად „კავკასიის“ ნომრები იყო, გაიღო
საოჯახო ნომრები
შენობა ახლად შეკეთებულია და განათებულია ელექტრონით. ავეჯეული სულ ახალია ნომერი ღირს: 60 კ.—დან 1 მანეთამდე.
თვიურებს დიდი შეღავათი. 1552

სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა
გადავიდა საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

ექიმ ნავასარდიანის
პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.
დილით:
„606“ და „914“
11—12 ს. შეშხაპუნება
კონსულტაციურად.
ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. ბეგახბარიძე: 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
ქ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხერვებისა.
ზ. ი. ზაზანაშვილი: 10—11 ს. საშვილოსნო, ქალებისა და ბავშვებისა.
ნ. ტ. მულაძე: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ბეჟიტიშვილი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ო. მ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საშვილოსნო და ქალების ავადმყ.
კ. დ. ზურაბიძე. 1—2 საათ. შინაგანი, ბავშვთა, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერიოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.
საღამოთი:
მ. გ. ბეჟიტიშვილი: 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

95 კაპეიკად
განცვიფრებაში მოჰყავს ყველა საოჯახო სათვალთმაქცო წიგნაკს!


ამ წიგნაკის საშუალებით ყველას შეუძლიან სხვისი აზრი გაიგოს, გამოიწვიოს აჩრდილი, შეიტყოს ვის ვინ უყვარს, ვის რა ჰქვიან. გადააქციოს ჯოხი გველად, ხოლო წყალი—ღვინოდ, მოგვობის საიდუმლო უკვე ახსნილია. ფარდა აწ უკვე ახდილია და ეხლა შეგიძლიანთ აიღოთ ტიტველა ხელში გახურებული რკინა; ენაში გაიყაროთ ლურსმანი; გაიტაროთ გვერდზე რძლის ხმალი; აჩვენოთ მოჭრილი მოლაპარაკე თავი და თქვენი თავის უვნებლად გარდაქმნა. ხელოვნება, თუ როგორ გააკეთოთ ფული წყლისაგან, შეგიძლიანთ გაავსოთ ერთ წამში ოთახი წყლითა ან და ნისლით და ბევრი სხვა გასაოცარი თვალთმაქცობა ჩაიდინოთ. თვალთმაქცობის შესრულების დროს ყოველი სახლი შეგიძლიანთ აქციოთ ნაზრახ კოშკად. ფასი 95 კაპ. გამოიგზავნება ფასდადებითაც. გამოგზავნისათვის და ფასდადებისათვის გადასახდელი იქნება 25 კ. ერიდეთ სიყალბეს! ახალი გამოცემა ბევრად შესწორებულია, **272 გვერდი** და მრავალი სურათი.
M. 59316. **მისამართი:** Т—во „Заря“, Варшава, отд. 123. 1547

მოითხოვეთ ყველგან


მთავარი კანტორა და საწყობი
[illegible] № 2 [illegible] სამმართველოს პირდაპირ.
ტელეფონი № 14/68.
1512

მივიღეთ ცივადი-მატარებლით პეტერბურგიდან
თევზის მრეწველნი
ძმ.
ძებველოვები.
პუშკინის ქუჩა, სახუთ. სახ. № 9.
ტელეფონი № 712.
ამურის **წითელი ხიზილალა** |კეტოვი|
სიგი, დვინის ორაგული, გრუზდი, ბრუსნიკა და სხვ.
აგრეთვე იყიდება მაილოვის
ხიზილალა
კოლოფით და ხმელი სოკო. 1500

აგენტმა
ივანე გრიგოლის ძემ
ხალათიანმა
ავადმყოფობის შემდეგ განაახლა განცხადებებისა და ხელის-მოწერის მიღება ადგილობრივისა და ქალაქ გარეთულ გამოცემებისთვის. წინანდელივით ეხლაც სინდისიერად და კარგად ასრულებს თავის მოვალეობას.
მიხეილის პრ. № 119, სახლი ფორიერისა. ტელეფონი 697. 1493

ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება:
წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:
ქართლის ცხოვრება. მარიამ დედ. ვარ. 3 მ.
საქართველოს ისტორია ბაქრაძისა — 1 მ.
„ ბროსესი, 1-ლი, 70 კ.
„ „ „ II— 70 კ.
ჯანაშვილი მოს. აღვიდგინე, ანუ „სამი ისტორიული ქრონიკის და წმ. ნინოს ცხოვრების“ გასაგებ შესასწორ სახელმძღვანელო — — — 30 კ.
— ნაშრომი 1-ლი — — — 20 „
— „ მე-2-ე — — — 20 „
— „ მე-3-ე — — — 20 „
— საქართველოს ისტორია — 1 მ.
— მეფე ერეკლე — — — 10 „
— უკვდავთა ლოცვანი — — 10 „
— ფარსადან გორგიჯანის ძე და მისი შრომანი — — — 40 „
— ქართული მწერლობა — — 80 „
ჯავახიშვილი ივ. ქართველი ერის ისტორია — — — — 80 „
— საქართ. ეკონომიური ისტორია 40 „
— საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია — — 15 „
ახლად მიღებული წიგნები:
ძველი ქართული სასულიერო პოეზია, პ. ინგოროყვასი — — — 2 მან.
გენეალოგია დიდის ალექსანდრე მეფისა ს. კაკაბაძისა — — — 30 კ.
თაყაიშვილი ექვ. Археологическія экскурсіи, вып. 4 — — 75 კ.
ამირანის ლექსი, პ. მირიანაშვილისა 30 კ.
ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

მთელს დედა-მიწაზე საუკეთესო
გრამო-ფონებს
„იაკორ“-ს
ჰქონდის საფაბრიკო მაღაზია
გრამოფონებისა
გ. ს.
დავიდოვისა.
ფულის ნაწილ-ნაწილად გადახდა შეიძლება.
გოლოვინის პროსპ., № 6, სახრებულთა ქვეშ.
1531

—•— გამოსულია და იყიდება —•—
ნ. შიუკაშვილის
პიესა **„მეგობრობა“**, დრამა 4 მოქმედებ.
ფასი 30 კაპ.

ტფილისი, მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.